



**სპეციალური ანგარიში
დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან
აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ**



სექტემბერი, 2015 წელი

www.ombudsman.ge

დოკუმენტი შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

სარჩევი

თავი I. შესავალი	3
თავი II. დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლა	6
1. საქმეთა შესწავლის ძირითადი პრინციპები.....	6
ა) სახალხო დამცველის ინიციატივით საქმის შესწავლა	6
ბ) საქმის შესწავლა განცხადების/საჩივრის საფუძველზე	6
გ) დასაშვებად ცნობილი განცხადების/საჩივრის განხილვა	7
2. სტატისტიკური მონაცემები	10
3. სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები.....	15
ა) ზოგადი მიმოხილვა.....	15
ბ) რეკომენდაცია.....	17
გ) ზოგადი წინადადებები.....	18
დ) გადაწყვეტილებები საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ	23
ე) გადაწყვეტილებები განცხადების დაუშვებლად ცნობის შესახებ.....	32
თავი III. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით სასამართლოსთვის მიმართვა	36
1. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.....	36
2. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ბათუმის რაიონულ სასამართლოს.....	39
თავი IV. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ხარვეზები.....	42
1. პროცესუალური ხასიათის ხარვეზები.....	42
2. მატერიალური ხასიათის ხარვეზები	48
თავი V. ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება	51
1. ხშირად დასმული კითხვები	51
2. სარეკლამო რგოლი	51
3. ტრენინგები პოლიციელებისა და პროკურორებისთვის.....	51
4. ტრენინგები ჟურნალისტებისთვის.....	52
5. ტრენინგები სკოლის მოსწავლეათათვის	52
თავი VI. თანასწორობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება.....	56
1. ადგილობრივ დონეზე ჩატარებული ტრენინგები	56
2. საერთაშორისო დონეზე განხორციელებული სასწავლო ვიზიტები	57
თავი VII. დასკვნა.....	60

თავი I. შესავალი

საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (შემდგომში „ანტიდისკრიმინაციული კანონი“). მისი მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები ითვალისწინებდა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს, თუმცა როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ისინი არ აღმოჩნდა საკმარისი დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს ჩამოსაყალიბებლად. ამის მთავარი მიზეზი, აღნიშნულ აქტებში რეალური სამართლებრივი ბერკეტების არ არსებობა იყო, კერძოდ ეფექტური სასამართლო და ადმინისტრაციული მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა თანასწორობის დარღვეული უფლების აღდგენა.

2014 წელს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების შედეგად, საქართველომ იკისრა ვალდებულება განახორციელოს თავისი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის სამართალთან.

აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში მოხდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, რომელიც წარმოადგენს კონსტიტუციის მე-14 მუხლით განმტკიცებული დისკრიმინაციის აღმოფხვრის პრინციპის საკანონმდებლო იმპლემენტაციის კონსოლიდირებულ მექანიზმს.

ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთ–ერთ მთავარ მონაპოვრად თამამად შეიძლება ჩაითვალოს მისი მოქმედების გავრცელება როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებზე, ისე ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე.

აღნიშნულმა კანონმა დაამკვიდრა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის ცნებები და აკრძალა დისკრიმინაციული ქმედების წაქეზება და ხელშეწყობა.

ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა გააკეთა დისკრიმინაციის აკრძალული ნიშნების ღია ჩამონათვალი, რაც საშუალებას იძლევა, დისკრიმინაცია, განურჩევლად რაიმე ნიშნისა, არ დარჩეს კანონის რეგულირების მიღმა.

ხსენებული კანონით, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭა საქართველოს სახალხო დამცველს. სასამართლოსთან ერთად,

დისკრიმინაციასთან ბრძოლის დამატებითი მექანიზმის შემოღება კიდევ უფრო აძლიერებს დისკრიმინაციასთან ბრძოლის მუხტს და მეტი ეფექტის მომტანია.

სახალხო დამცველი, მისთვის მინიჭებული ფუნქციის უზრუნველსაყოფად, თავის საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებს:

- დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლა;
- საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება;
- დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა და ყოველწლიური სპეციალური ანგარიშის გამოცემა.

კანონმა სახალხო დამცველს დისკრიმინაციის საქმეების შესწავლასთან დაკავშირებით პროაქტიული ფუნქციები მიანიჭა. სახალხო დამცველი დისკრიმინაციის საქმეების შესწავლას იწყებს არა მხოლოდ განცხადების/საჩივრის არსებობის შემთხვევაში, არამედ, საკუთარი ინიციატივითაც. სახალხო დამცველის მხოლოდ საჩივარზე/განცხადებაზე დამოკიდებულება არ იქნებოდა ეფექტური, რადგანაც შესაძლებელია საჩივრის/განცხადების არარსებობის პირობებშიც სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდეს სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების თაობაზე.

ნოვაციურია, რომ კანონმა სახალხო დამცველს მომრიგებლის როლი მიანიჭა დისკრიმინაციის საქმეებზე. თუ სახალხო დამცველი საჭიროდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია დანიშნოს ზეპირი მოსმენა და მოიწვიოს მხარეები საქმის მორიგებით დასასრულებლად.

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველს უფლება აქვს, რეკომენდაციითა და ზოგადი წინადადებით მიმართოს დისკრიმინაციის ჩამდენს და მისგან გარკვეული ღონისძიებების განხორციელება მოითხოვოს. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებაზე უარს იტყვის, სახალხო დამცველს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და დამრღვევისთვის ქმედების განხორციელების ან ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაკისრება მოითხოვოს.

ზემოთაღნიშნულ უფლებამოსილებათა ეფექტურად განხორციელების მიზნით, 2014 წლის 22 აგვისტოს, N140 ბრძანებით სახალხო დამცველმა ჩამოაყალიბა თანასწორობის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციაც არის სახალხო დამცველს

დაეხმაროს ანტიდისკრიმინაციული კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებაში. თანასწორობის დეპარტამენტი მუშაობას შეუდგა 2014 წლის 20 ნოემბერს.

სახალხო დამცველი, 2014 წლის ნოემბერში, თანასწორობის სტრუქტურების ევროპული გაერთიანების (EQUINET) წევრი გახდა დამკვირვებლის სტატუსით. ქსელის შექმნით გაერთიანება ხელს უწყობს ევროპის 31 ქვეყნის 41 სტრუქტურას დისკრიმინაციის აღმოფხვრის განხორციელებაში. მისი მიზანია სტრატეგიული უნარის და ადამიანური რესურსების პროფესიული გაძლიერება, თანასწორობის სხვადასხვა ორგანოების წარმატებული პრაქტიკის გამოკვეთა, შესწავლა და გაზიარება, ევროპის დონეზე თანასწორი მოპყრობის კანონმდებლობის იმპლემენტაციის ხელშეწყობა. გაერთიანების გამოცდილება სახალხო დამცველს თანასწორობის უზრუნველყოფის ეფექტურ განხორციელებაში დაეხმარება.

ქვემოთ მოცემულ დოკუმენტში ასახულია ანტიდისკრიმინაციული კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული პირველი ანგარიში, რომელშიც მიმოხილული იქნება სახალხო დამცველის საქმიანობა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით კანონის მიღების დღიდან 2015 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

ანგარიში მიმოიხილავს სახალხო დამცველის მიერ დისკრიმინაციის საქმეების შესწავლის სპეციფიკას, სასამართლოში წარდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებს, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად წარმოებულ კამპანიებს, კანონის ხარვეზებს, დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს.

თავი II. დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლა

მოცემულ თავში საუბარი იქნება სახალხო დამცველის მიერ დისკრიმინაციის საქმეების შესწავლის მეთოდოლოგიასა და სპეციფიკურ მხარეებზე, შემოსული განცხადებების/საჩივრების ზოგად მიმოხილვასა და სახალხო დამცველის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

1. საქმეთა შესწავლის ძირითადი პრინციპები

სახალხო დამცველი სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლას იწყებს განცხადების/საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

ა) სახალხო დამცველის ინიციატივით საქმის შესწავლა

სახალხო დამცველის ინიციატივით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლის დროს, თანასწორობის დეპარტამენტი უკავშირდება დაზარალებულს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ადგენს სურს თუ არა მას მონაწილეობის მიღება საქმის განხილვაში. უარის შემთხვევაში, სახალხო დამცველი ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას, განაგრძოს თუ არა წარმოება დაზარალებულის მონაწილეობის გარეშე.

ბ) საქმის შესწავლა განცხადების/საჩივრის საფუძველზე

სახალხო დამცველი, საჩივრის მიღებისთანავე წერილობით ატყობინებს განცხადების/საჩივრის ავტორს, რომ მიღებულია მისი განცხადება/საჩივარი.

თავდაპირველად სახალხო დამცველი წყვეტს განცხადების/საჩივრის დასაშვებობის საკითხს. დასაშვებობის ეტაპზე მომჩივანმა სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ის გარემოებები, რაც წარმოშობს მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედების ჩადენის/განხორციელების ვარაუდს. ამ ეტაპზე, მას არ მოეთხოვება აღნიშნულის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულების წარმოდგენა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, მომჩივანი უთითებდა, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო ნაკლები

საათობრივი დატვირთვა მიეცა. მასწავლებელმა არ წარმოადგინა განსხვავებული მოპყრობის დამამტკიცებელი საბუთები, თუმცა იმის გამო, რომ პოლიტიკურ ნიადაგზე ნაკლები საათობრივი დატვირთვის მიცემა შეიძლება წარმოადგენდეს დისკრიმინაციას, მისი განცხადება დასაშვებად იქნა მიჩნეული.

სხვა საქმეში, მომჩივანი აღნიშნავდა, რომ იგი დისკრიმინაციის მსხვერპლია, რადგან მეზობლების სახლიდან ჩამოდიოდა ქიმიური ნივთიერებების სუნი, მისი მეზობელი სახლში დადიოდა ქუსლიანი ფეხსაცმლით და ხმაურით აწუხებდა. ვინაიდან მითითებული ფაქტები წარმოშობდა სამეზობლო დავის წინაპირობებს და არა დისკრიმინაციული ქმედების ვარაუდს, მისი საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ზოგიერთ შემთხვევაში განცხადების დასაშვებობის გადაწყვეტა საჭიროებს დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. ამ შემთხვევაში, სახალხო დამცველი განცხადების/საჩივრის ავტორს სთხოვს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენას ან/და ახდენს მის გამოკითხვას, ან/და თუ სხვაგან ინახება ინფორმაცია სახალხო დამცველი მას თავად გამოითხოვს.

განცხადების/საჩივრის ავტორს გადაწყვეტილება მისი განცხადების/საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ ეცნობება წერილობითი ფორმით.

გ) დასაშვებად ცნობილი განცხადების/საჩივრის განხილვა

საქმის მასალების სრულყოფილი შესწავლის მიზნით, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, თანასწორობის დეპარტამენტი ახსნა-განმარტებას ართმევს მხარეებსა და სხვა პირებს, რომლებიც შეიძლება ფლობდნენ საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას, გამოითხოვს მასალებს შესაბამისი ფიზიკური/იურიდიული პირებისგან, ახდენს ადგილზე შესწავლას, იწვევს მხარეებს ზეპირ მოსმენაზე.

- ინფორმაციის გამოთხოვა

ანტიდისკრიმინაციული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებებიდან. საჯარო და კერძო დაწესებულებებს, ასევე კერძო პირებს ეძლევათ 10 სამუშაო დღე

გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოსადგენად. თუ დადგენილ ვადაში პასუხი არ იქნება მიღებული, იგზავნება განმეორებითი წერილი (შეხსენება).

მოპოვებული მასალები ეგზავნება განცხადების/საჩივრის ავტორს/სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლს და მას ეძლევა 10 სამუშაო დღე, რომ წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები ან/და დააფიქსიროს პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

- საქმის გარემოებების ადგილზე შესწავლა

თანასწორობის დეპარტამენტი, შესაბამის შემთხვევაში, სავარაუდო დისკრიმინაციის განხორციელების ადგილზე შეისწავლის საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებს. მაგალითად, ხდება ინფორმაციის ადგილზე მოძიება, ფოტოსურათების გადაღება, ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, ადგილის დათვალიერება. აღნიშნული ღონისძიებები საქმის წარმოებას უფრო მოქნილსა და სწრაფს ხდის.

- მოწმეთა გამოკითხვა

სახალხო დამცველს შეუძლია გამოკითხოს ის პირები, რომელთაც შესაძლოა საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია გააჩნდეთ. მოწმის გამოკითხვა შეიძლება მოხდეს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელი მოწმეთა გამოკითხვის მიმდინარეობისას ადგენს ოქმს, რომელსაც გაცნობის, შენიშვნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფიქსირებისა და ოქმში ასახვის შემდეგ ხელს აწერს გამოკითხული პირი.

მოწმეთა გამოკითხვა მნიშვნელოვანია საქმის შესწავლის პროცესში, ვინაიდან შესაძლოა გამოიკვეთოს დამატებითი მტკიცებულებები და აღნიშნულმა ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის ან არარსებობის დადგენას.

- ზეპირი მოსმენა

საქმის წარმოების პროცესში, თუ სახალხო დამცველი ჩათვლის, რომ საქმის მასალები და პროცესი იძლევა მხარეთა მორიგების შესაძლებლობას, განცხადების/საჩივრის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე უფლებამოსილია მხარეები მოიწვიოს ზეპირ

მოსმენაზე და შესთავაზოს მორიგება. ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის უფლება აქვთ სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლს ან/და მის წარმომადგენელს და მეორე მხარეს ან/და მის წარმომადგენელს.

ზეპირი მოსმენა მიმდინარეობს პოზიციების დაფიქსირებისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელს უფლება აქვს შეკითხვები დაუსვას მხარეებს და ასევე, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა საქმესთან დაკავშირებული შეკითხვები დაუსვან ერთმანეთს. კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ კი, მხარეებს შეუძლიათ დამატებითი განმარტება გააკეთონ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით.

ზეპირი მოსმენის მიმდინარეობისას თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელი ადგენს ოქმს, რომელსაც გაცნობის შემდეგ ხელს აწერენ ზეპირ მოსმენაში მონაწილე პირები. ოქმში დამატების სახით აისახება შენიშვნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მორიგდებიან, დგება მორიგების აქტი. თუ მხარეთა შორის მორიგება არ შედგა, სახალხო დამცველი განაგრძობს საქმის წარმოებას და გამოსცემს რეკომენდაციას/ზოგად წინადადებას დისკრიმინაციის ჩამდენის წინააღმდეგ ან გამოსცემს გადაწყვეტილებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუკი დისკრიმინაციის ფაქტი არ დადგინდება.

სახალხო დამცველი აქტიურად იყენებს ზეპირი მოსმენის დანიშვნის შესაძლებლობას, ვინაიდან აღნიშნული საშუალებას იძლევა მხარეთა უშუალო მონაწილეობით, მათი პოზიციების გაცნობით და ერთმანეთისადმი კითხვა-პასუხით დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციულ მოპყრობას.

- საქმის განხილვაში მესამე პირის მონაწილეობა

ანტიდისკრიმინაციული კანონის შესაბამისად, ორგანიზაციას, დაწესებულებას ან გაერთიანებას, რომლის საქმიანობის სფეროც მოიცავს პირთა დისკრიმინაციისგან დაცვას, უფლება აქვს წერილობითი ფორმით მიმართოს სახალხო დამცველს საქმის განხილვის პროცესში მესამე პირად ჩართვის მოთხოვნით.

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ ორგანიზაციას შეუძლია იხილოს სახალხო დამცველის ვებ გვერდზე.

ორგანიზაციის მომართვის მიღებისთანავე, სახალხო დამცველი არკვევს მოიცავს თუ არა ამ ორგანიზაციის საქმიანობის სფერო პირთა დისკრიმინაციისგან დაცვას და დადებითი პასუხის შემთხვევაში ეკითხება სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლს, სურს თუ არა ამ ორგანიზაციის მესამე პირად ჩართვა.

თანხმობის შემთხვევაში, ირკვევა არსებობს თუ არა ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის გადაცემაც სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლს მესამე პირისთვის არ სურს, რის შემდეგაც საქმის მასალები (შესაბამის შემთხვევაში დაშტრიხული სახით) ეგზავნება მესამე პირად ჩართულ ორგანიზაციას.

თუ სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლი არ არის თანახმა მომთხოვნი ორგანიზაციის მესამე პირად ჩართვაზე, უარი წერილობითი ფორმით ეცნობება ორგანიზაციას/დაწესებულებას/გაერთიანებას.

სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ორი მოთხოვნა მესამე პირად ჩართვაზე. ერთ შემთხვევაში სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლმა თანხმობა განაცხადა მესამე პირად ორგანიზაციის ჩართვაზე.

მესამე პირს ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული მოსაზრებები, განმარტებები და მის ხელთ არსებული მტკიცებულებები. აღნიშნული უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობას, რაც ცალსახად ხელს უწყობს საქმეთა სრულყოფილ და მრავალმხრივ შესწავლას.

2. სტატისტიკური მონაცემები

ანტიდისკრიმინაციული კანონის ძალაში შესვლის დღიდან 2015 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით სახალხო დამცველის ოფისში შემოვიდა **107** საჩივარი/განცხადება, ამას გარდა სახალხო დამცველმა **4** საქმის შესწავლა დაიწყო საკუთარი ინიციატივით.

აღნიშნული **111** საქმიდან **8** საქმეზე გამოვიდა გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საქმის მასალების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად არ დადგინდა დისკრიმინაციის ფაქტი;¹ **13** საქმე გადაეწერა სხვა დეპარტამენტს, ვინაიდან საქმის მასალების გაცნობის შემდეგ გამოიკვეთა, რომ შეიძლება ადგილი ჰქონოდა უფლების დარღვევას და არა დისკრიმინაციას; **6** საქმის განხილვა შეჩერდა,

¹ საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები იხ. ამავე თავის მე-3 ნაწილში.

ვინაიდან მომჩივანმა მიმართა სასამართლოს; **21** განცხადება/საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი აშკარა უსაფუძვლოების გამო;² **2** საქმეზე გამოიცა ზოგადი წინადადება;³ **1** საქმეზე გამოიცა რეკომენდაცია;⁴ **60** საქმეზე მიმდინარეობს შესწავლა.


საქმეები, რომელთა შესწავლაც სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო, ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ სპორტის სასახლეში ღონისძიებაზე დასწრების შეზღუდვას; სქესზე დაფუძნებული ორი დისკრიმინაციული ვაკანსიის გამოქვეყნებას კომპანიების მიერ; ასაკზე დაფუძნებული დისკრიმინაციული ვაკანსიის გამოქვეყნებას.

² დაუშვებლად ცნობილი ზოგიერთი საქმის შესახებ იხ. ამავე თავის მე-3 ნაწილი

³ სახალხო დამცველის მიერ გამოცემული ზოგადი წინადადების შესახებ იხ. ამავე თავის მე-3 ნაწილი


⁴ სახალხო დამცველის მიერ გამოცემული რეკომენდაციის შესახებ იხ. ამავე თავის მე-3 ნაწილი


საქმეთა მიმოხილვა



დისკრიმინაციის ჩამდენი

■ საჯარო სექტორი ■ კერძო სექტორი





სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 5 განცხადება სასამართლოს მეგობრის წარდგენის მოთხოვნით.

სასამართლოს მეგობრის ორი მოსაზრება მომზადდა და გაიგზავნა ბათუმისა და ზესტაფონის სასამართლოში.⁵

ერთ საქმეზე მომზადდა წერილობითი მოსაზრება, თუმცა სასამართლოში მისი წარდგენა აღარ მომხდარა, ვინაიდან დავა მხარეთა შორის მორიგებით დასრულდა.


ერთ საქმეზე მომზადდა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება და ველოდებით სხდომის დანიშვნას, მის წარსადგენად.

მე-5 საქმეზე სასამართლო მეგობრის მოსაზრება აღარ წარდგენილა, ვინაიდან ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, სასამართლო მეგობრის მოსაზრება სასამართლოს არსებით განხილვამდე 5 დღით

⁵ წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებების შესახებ იხ. III თავი

ადრე უნდა წარედგინოს. განმცხადებლის მიერ მომართვის დროს, კი სასამართლოში არსებითი სხდომა უკვე დაწყებული იყო.

საანგარიშო პერიოდში, თანასწორობის დეპარტამენტმა გააგზავნა 230 წერილი ინფორმაციის გამოთხოვის მოთხოვნით.



სულ – 230

3. სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები

ა) ზოგადი მიმოხილვა

დისკრიმინაციის საქმის შესწავლის შედეგად სახალხო დამცველს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- გადაწყვეტილება საქმის მორიგებით დასრულების შესახებ;
 - რეკომენდაცია;
 - ზოგადი წინადადება;
 - გადაწყვეტილება საქმის შეჩერების შესახებ;
 - გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ;
 - გადაწყვეტილება განცხადების/საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ.
-
- გადაწყვეტილება საქმის მორიგებით დასრულების შესახებ

ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ საქართველოს სახალხო დამცველი საჭიროდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია დანიშნოს ზეპირი მოსმენა და მოიწვიოს მხარეები საქმის მორიგებით დასასრულებლად. საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველი ახორციელებს მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

სახალხო დამცველმა გამართა სამი ზეპირი მოსმენა, თუმცა ჯერ-ჯერობით არც ერთ მათგანზე არ გამოტანილა გადაწყვეტილება საქმის მორიგებით დასრულების შესახებ.

- რეკომენდაცია

ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი და დისკრიმინაციის შედეგები არ არის აღმოფხვრილი, საქართველოს სახალხო დამცველი საქმის გარემოებების

გათვალისწინებით ასრულებს საქმის წარმოებას დარღვეული თანასწორობის აღსადგენად ღონისძიებების განხორციელების შესახებ რეკომენდაციის გამოცემით.

- ზოგადი წინადადება

ანტიდისკრიმინაციული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოსცეს ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე.

სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში გამოსცა ორი ზოგადი წინადადება, რომელზეც საუბარი ქვემოთ იქნება.

- გადაწყვეტილება საქმის შეჩერების შესახებ

ანტიდისკრიმინაციული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას თუ:

დავას სასამართლო განიხილავს;
მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;
მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში შეაჩერა ექვსი საქმის წარმოება, ვინაიდან მომჩივანმა მიმართა სასამართლოს. აღნიშნული დავები შეეხებოდა სამსახურიდან გათავისუფლებას სხვადასხვა დისკრიმინაციული მოტივით.

- გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ

ანტიდისკრიმინაციული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას თუ:

საქმეზე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება;
განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.

სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში შეწყვიტა რვა საქმის წარმოება, ვინაიდან არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.

- გადაწყვეტილება განცხადების/საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

სახალხო დამცველი იღებს გადაწყვეტილებას განცხადების/საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ, როდესაც განცხადება/საჩივარი არის აშკარად დაუსაბუთებელი და საერთოდ არ იკვეთება დისკრიმინაციის ჩადენის ვარაუდი. ასევე მაშინაც, როდესაც არსებობს საჩივრის დასაშვებობაზე პროცედურული ხარვეზი და აღნიშნული განცხადების/საჩივრის ავტორის მიერ არ იქნება აღმოფხვრილი.

საანგარიშო პერიოდში 21 განცხადება/საჩივარი იქნა ცნობილი დაუშვებლად.

ბ) რეკომენდაცია

რეკომენდაცია შპს „არტპალასს“

2015 წლის 12 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამო. საღამოს ბილეთები შეძენილი ჰქონდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსაც, რომელთაც შენობის არასათანადო ადაპტირების გამო, არ მიეცათ საშუალება დასწრებოდნენ ღონისძიებას. ვინაიდან გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით პირთა სავარაუდო დისკრიმინაცია, სახალხო დამცველმა 2015 წლის 13 თებერვალს თავისი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ფაქტის შესწავლა.

რეკომენდაციაში სახალხო დამცველმა განიმარტა, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით რეკომენდაციაში აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ღირსეულად მონაწილეობის უფლება დაუცლია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, ევროპის სოციალური ქარტიის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილით და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის 30-ე მუხლით.

რეკომენდაციაში შეფასდა კომპარატორის საკითხიც და დადგინდა, რომ მ.დ., რადგან ის სარგებლობდა ეტლით, წარმოადგენდა განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირს და საჭირო იყო მისდამი განსხვავებული მოპყრობა. სპორტის სასახლის შენობაში არსებული პანდუსების დემონტაჟით კი, არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი პირების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება მოხდა.

შენობა სრულად არ შეესაბამებოდა ადაპტირების სტანდარტებს, თუმცა რეკონსტრუქციამდე სპორტის სასახლეში შესვლა და სცენამდე მისვლა შესაძლებელი იყო შშმ პირებისათვის. სპორტის სასახლე შშმ პირებისთვის მიუწვდომელი გახდა ორგანიზატორის მიერ ჩატარებული რეკონსტრუქციების შედეგად და სწორედ ამიტომ, შპს „არტპალასი“ წარმოადგენდა დისკრიმინაციის ჩამდენ სუბიექტს.

შპს „არტპალასს“ არ დაუსახელებია ის ლეგიტიმური მიზანი, რითაც გამართლდებოდა თანაბარი მოპყრობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ შპს „არტ პალასის“ მხრიდან ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას პანდუსების აღების/მოხსნის გამო. 2015 წლის 17 ივლისს გამოცემულ რეკომენდაციაში სახალხო დამცველმა მოუწოდა შპს „არტპალასს“ შეიმუშაოს შიდა დოკუმენტი (დებულება/წესები/პრინციპები), რომლითაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მასში ღირსეულად მონაწილეობის ხელშეწყობის პრინციპები.

გ) ზოგადი წინადადებები

ზოგადი წინადადება სს „საქართველოს ბანკს“

სახალხო დამცველს, განცხადებით მომართა ა.ა.ი.პ. „საფარის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ბაბუცა (ბაია) პატარაიამ (შემდგომში „მომჩივანი“).

მომჩივანი მიუთითებდა, რომ „საქართველოს ბანკის“ მიერ სოციალურ ქსელში, ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ფოტო, სახელწოდებით „ქმარკომპი“⁶



წარმოადგენდა გენდერული სტერეოტიპების შემცველ რეკლამას, იყო დისკრიმინაციული შინაარსის და ეწინააღმდეგებოდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონს.

რეკლამის შინაარსიდან ჩანდა, რომ ქალი მატერიალურად სრულად დამოკიდებულია მამაკაცზე და არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი. აზრი, რომ ქალი უნდა იყოს ოჯახში და შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მეუღლესა და შვილებზე ზრუნვით, ხოლო მამაკაცი მატერიალური სიკეთის შემომტანია, სადავო რეკლამის ილუსტრაციით იყო ხაზგასმული. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ფოტოს სახელწოდებისა და სურათში გამოყენებული ფრაზების წაკითხვის შემდეგ, მკითხველს გაუჩნდებოდა წარმოდგენა, რომ ქალი მოკლებულია უნარს ჰქონდეს შემოსავლის წყარო, დამოკიდებულია მამაკაცზე და ავიწროებს მას მუდმივი თანხის მოთხოვნითა და პრეტენზიებით. შესაბამისად, ამგვარი სტერეოტიპების დამკვიდრება საზოგადოებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველს ქმნიდა.

სახალხო დამცველმა ზოგად წინადადებაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ტრადიციული თუ სოციალური მედიით გავრცელებული რეკლამა, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზროვნების მიმართულების ფორმირებას ახდენს, ამასთან,

⁶ ფოტო: საქართველოს ბანკის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.facebook.com/BankOfGeorgia/photos/a.124659380925590.19207.119630781428450/789947701063418/?type=3&theater>

განსაკუთრებით საშიშია და დამანგრეველი ეფექტი შეიძლება იქონიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ის სტერეოტიპები, რომელიც სექსისტური რეკლამების გავლენით ყალიბდება, ამართლებს გენდერულ დისკრიმინაციას და ამასთან, აძლიერებს და ამყარებს ისტორიულად დამკვიდრებულ, დისკრიმინაციის განხორციელების ფორმებს. სექსისტური რეკლამებით ხდება საზოგადოებაში ფორმირებული, ღრმად გამჯდარი სტიგმების მართებულობის მუდმივად მტკიცება და პოპულარიზაცია.

სახალხო დამცველმა ასევე მიუთითა, რომ არაერთ სახელმწიფოში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რეკლამა არ უნდა უჭერდეს მხარს რაიმე ნიშნით დისკრიმინაციას. რეკლამის დამზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მორალურ ღირებულებებს, რომლებიც დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს და რეკლამის შინაარსმა არ უნდა ხელყოს ინდივიდთა თავისუფლება, ღირსება და ადამიანთა თანასწორობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში სახალხო დამცველმა არ დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი, არამედ მიიჩნია, რომ სექსისტური რეკლამა უარყოფითად მოქმედებდა გენდერულ თანასწორობაზე, ხელს უწყობდა საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მავნე სტერეოტიპების გავრცელებას და დაბრკოლებას უქმნიდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. სწორედ, აღნიშნულმა განაპირობა სახალხო დამცველის მიერ ზოგადი წინადადების, და არა რეკომენდაციის გამოცემა.

სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მოუწოდა საქართველოს ბანკს, მომავალში თავი შეიკავოს სექსისტური და დისკრიმინაციული შინაარსის შემცველი სარეკლამო რგოლების დამზადებისგან და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქალის ღირსებისადმი პატივისცემას და მის წარმოჩენას მამაკაცის თანასწორობად. სახალხო დამცველმა ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია სს „საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლებისა და სარეკლამო რგოლებზე პასუხისმგებელი პირებისთვის გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგების ჩატარება.⁷

აღნიშნული ზოგადი წინადადება გამოიცა 2014 წლის 9 დეკემბერს და გაეგზავნა სს „საქართველოს ბანკს“ შემდგომი რეაგირებისათვის, თუმცა კომპანიას სახალხო დამცველისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ არ შეუტყობინებია. ამასთან, უპასუხოდ დატოვა სახალხო დამცველის ორი მიმართვა. აღსანიშნავია, რომ

⁷ ზოგადი წინადადების სრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2164.pdf>

სექსისტური ფოტო სს „საქართველოს ბანკის“ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ბანკს არ წაუშლია.

ზოგადი წინადადება ჯობს.გე-ს

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ა.ა.ი.პ. „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ელბაქიძემ (შემდგომში „მომჩივანი“).



მომჩივანი მიუთითებდა, რომ მათ ჩაატარეს კვლევა რომლის ფარგლებშიც, დასაქმების საიტებზე განთავსებულ განცხადებებში სქესზე ორიენტირებული ენის იდენტიფიცირება, წინასწარ განსაზღვრული სამიეზო სიტყვების საშუალებით განახორციელეს. კვლევამ მოიცვა 2010-2014 წლები, ამ პერიოდის მანძილზე სულ განთავსდა 71 360 ვაკანსია, რომელთა 10,01% გამოირჩეოდა მდედრობით სქესზე ორიენტირებული ენის გამოყენებით, ხოლო მამაკაცებზე - 24,02%. უფრო კონკრეტულად სიტყვა „მამაკაცი“ გამოყენებული იყო 1088-ჯერ, „სასიამოვნო გარეგნობა“ 1589-ჯერ, სიტყვა „სტაბილური“ 780-ჯერ, ხოლო სიტყვა ქალბატონი-607-ჯერ. განმცხადებელი სახალხო დამცველს სთხოვდა რეაგირება მოეხდინა ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ ვაკანსიებში სქესთან დაკავშირებული დისკრიმინაციული სიტყვების გამოყენებაზე.

სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ დროთა განმავლობაში ქალისა და მამაკაცის როლის გათანაბრებასთან ერთად თანდათან ქრება განსხვავება ქალისა თუ მამაკაცის მიერ შესასრულებელ სამუშაოებს შორის და ქალები მეტ-ნაკლებად ემანსიპირებულნი არიან შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში, თუმცა დამსაქმებლებს კვლავ აქვთ სტერეოტიპული შეხედულებები ამა თუ იმ სამსახურისადმი გენდერული კუთვნილების თაობაზე, რაც იწვევს წინასახელშეკრულებო ეტაპზე დისკრიმინაციული პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ქართულ რეალობაში ხშირია მკვეთრი მიდგომა, თუ რა სახის სამუშაო უნდა შეასრულოს „ქალმა“, „კაცმა“, „სასიამოვნო გარეგნობის“ მქონემ. ის წარმოდგენები, რაც დამსაქმებლებს გააჩნიათ გენდერულ როლებთან დაკავშირებით, ხშირ

შემთხვევაში იწვევს ვაკანსიების შესახებ განცხადების დისკრიმინაციული შინაარსის ტექსტის შემუშავებას და სამსახურში სწორედ დისკრიმინაციული მოტივებით აყვანას.

შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციასთან ბრძოლის უპირველესი მიზანია საზოგადოების ყველა წევრს შეეძლოს მუშაობისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, რათა მათ შეძლონ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა. დასაქმების ბაზარზე ჯანსაღი გარემოს არსებობა ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ზრდას, რაც შემდგომში დადებითად აისახება სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ სამსახურის საძიებო, საჯარო ვებ-გვერდები, სადაც ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა თავისი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისად მოძებნოს სასურველი ვაკანსია. იქედან გამომდინარე, რომ ვებ-გვერდი www.jobs.ge წარმოადგენს სამსახურის ძიების ყველაზე დიდ და პოპულარულ ვებგვერდს, სადაც განთავსებულია როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებში გამოცხადებული ვაკანსიები, ბუნებრივია, ის საზოგადოებაში ცნობადია და ამასთან, მაღალია ვებ-გვერდით სარგებლობის მაჩვენებელიც. ჯობს.გე სარგებლობს მაღალი რეპუტაციითა და სანდოობით, როგორც დამსაქმებელთა, ისე სამსახურის მაძიებელთა შორის.

იმ საკითხის გადაწყვეტისას, გააჩნია თუ არა ჯობს.გე-ს ადმინისტრაციას ვალდებულება, არ გამოაქვეყნოს დისკრიმინაციული ვაკანსიები, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად“.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ჯობს.გე, იმის გამო, რომ არ ახორციელებს დისკრიმინაციული სიტყვების შემცველი ვაკანსიების ფილტრაციას, ერთი მხრივ ხელს უწყობს დამსაქმებლებს გაავრცელონ დისკრიმინაციული ვაკანსიები და მისი მეშვეობით განახორციელონ დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე, ხოლო მეორე მხრივ, ახორციელებს დისკრიმინაციული პრაქტიკის ტირაჟირებას. ანტიდისკრიმინაციული კანონი არა მხოლოდ კრძალავს დისკრიმინაციის ჩადენას, არამედ დისკრიმინაციის ხელშეწყობასაც. ჯობს.გე კი ხელს უწყობს დამსაქმებლებს განახორციელონ დისკრიმინაცია.

სახალხო დამცველმა ჯობს.გე-ს მიმართა ზოგადი წინადადებით და სთხოვა შეიმუშაოს ისეთი რეგულაციები, რომლითაც აღმოიფხვრება დისკრიმინაციული ვაკანსიების გამოქვეყნება მის ვებ-გვერდზე. სახალხო დამცველმა გამოთქვა მზადყოფნა, დაეხმაროს ჯობს.გეს ადმინისტრაციას სახელმძღვანელოს შემუშავებაში, რომელიც მას გაუადვილებს დისკრიმინაციული ვაკანსიების გამოქვეყნების შეზღუდვას.⁸

2015 წლის 8 აპრილს გამოცემული ზოგადი წინადადება გაეგზავნა შპს „ჯობს.გეს“ დირექტორს, თუმცა დღემდე კომპანიას სახალხო დამცველისთვის მიღებული/გატარებული ღონისძიებების შესახებ არაფერი უცნობებია.

დ) გადაწყვეტილებები საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

საქმე N 17324/1

სახალხო დამცველს საჩივრით მომართა გ. ჩ.-მ (შემდგომში „მომჩივანი“). იგი სადავოდ ხდიდა სენაკის ერთ–ერთ საჯარო სკოლაში საათების გადანაწილებას. კერძოდ მას მისცეს მხოლოდ 6 საათიანი დატვირთვა, ხოლო სხვა ისტორიის მასწავლებელს - მ.ჭ.-ს, რომელიც არის საპენსიო ასაკის, 17 საათი ისტორიაში, გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებაში. მომჩივანი თავს მიიჩნევდა დისკრიმინაციის მსხვერპლად მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო და საათების ამგვარ განაწილებას უკავშირებდა იმ ფაქტს, რომ მ.ჭ. იყო იმავე სოფლის რწმუნებულის მეუღლის და; ასევე, პოლიტიკური ბლოკი „ქართული ოცნების“ აქტიური წევრი და ადგილობრივ არჩევნებზე საარჩევნო კომისიის წევრი, ხოლო თვითონ იყო პოლიტიკური მოძრაობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი.

აღნიშნული საქმის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია საჯარო სკოლიდან, ასევე საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო

⁸ ზოგადი წინადადების სრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2501.pdf>

მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული სამმართველოდან. 2015 წლის 21 იანვარს მხარეთა მონაწილეობით ასევე ჩატარდა ზეპირი მოსმენა.

მოპოვებული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მომჩივანი მუშაობდა აღნიშნულ სკოლაში ისტორიის პედაგოგად 1992 წლიდან მოყოლებული. 2006 წელს იგი დაინიშნა იმავე სოფლის გამგებლად, სადაც სკოლა მდებარეობს. 2010–2014 წლებში იმავე გამგეობაში მუშაობდა მთავარ სპეციალისტად. აქედან გამომდინარე, 2006–2014 წლებში აღნიშნულ სკოლაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა შეთავსებით – მუშაობდა კვირაში 6 საათიანი დატვირთვით.

2014 წლის აგვისტოში მომჩივანი გაათავისუფლეს გამგეობაში მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან, რის გამოც მან მიმართა სკოლას პედაგოგიური საქმიანობისთვის დამატებითი საგაკვეთილო საათების გამოყოფის მოთხოვნით, კერძოდ, დამატებითი საათები ისტორიაში ან/და კლასის დამრიგებლად დანიშვნა.

სკოლის ადმინისტრაციამ მას გამოუყო კვირაში 10 საათიანი დატვირთვა, ნაცვლად ექვსისა, რაც მიღწეულ იქნა მ.ჭ.–ს საათობრივი დატვირთვის კვირაში 14 საათამდე შემცირებით. აღნიშნული შეთავაზებაზე მომჩივანმა თავად განაცხადა უარი.

საქმეზე ჩატარებულ ზეპირ მოსმენაზე გამოირკვა, რომ მ.ჭ. მართლაც არის სოფელ გ–ის რწმუნებულის მეუღლის და. რწმუნებული და გ.ჩ. პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან და 2006 წელს, ერთდროულად დაიწყეს მუშაობა ადგილობრივ თვითმმართველობაში, რწმუნებულს უფლებამოსილება შეუწყდა 2014 წლის აგვისტოს თვეში, მომჩივანთან ერთად, ხოლო მასწავლებლებს შორის საგაკვეთილო საათების გადანაწილება მოხდა 2014 წლის სექტემბერში.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მომჩივანს სკოლამ გაუზარდა საგაკვეთილო დატვირთვა 10 საათამდე, რაზედაც მან თვითონ განაცხადა უარი. გარდა ამისა, სკოლაში საათების გადანაწილებისა და დამრიგებლის სტატუსის მინიჭების დროს, სოფლის რწმუნებულს რეალურად არ ჰქონდა ზეგავლენის მოხდენის საშუალება, ვინაიდან იგი უკვე აღარ იყო რწმუნებული. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ის და მომჩივანი მიეკუთვნებოდნენ ერთი და იმავე პარტიას, შესაბამისად იმ გარემოებაზე აპელირება, რომ პოლიტიკური ნიშნით მოხდა სკოლაში მასსა და მ.ჭ.–ს შორის საგაკვეთილო საათების გადანაწილება, საფუძველს მოკლებული იყო. ასევე, არც წარმოდგენილი საბუთებით და არც ზეპირი მოსმენის დროს არ დადასტურებულა რომ სკოლის დირექტორის მიერ მ.ჭ.–სათვის 17 საათის განსაზღვრის დროს გადამწყვეტი იყო მის მიერ ადგილობრივ არჩევნებში კომისიის წევრად

მონაწილეობა, რადგან ეს უკანასკნელი წინა წლებშიც იგივე დატვირთვით მუშაობდა სკოლაში.

გამომდინარე იქედან, რომ არ დადასტურდა პოლიტიკური ნიშნით განსხვავებული მოპყრობის ფაქტი, 2015 წლის 8 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქმე N 1385/15

2015 წლის 5 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს მომართა სამართლებრივი დახმარების ცენტრმა „Fides et Spes.“ (შემდგომში „მომჩივანი“).

მომჩივანი მიუთითებდა, რომ პირადობის დამადასტურებელ და დაბადების მოწმობებში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების სახელები და გვარები იწერებოდა ქართულ ენაზე, ისე რომ იმავდროულად არ იყო დაცული მათ ენაზე გამოთქმის წესები და სტილი, რაც არასწორს ხდიდა სახელების ჟღერადობას. მომჩივნის აზრით, ასეთი დამოკიდებულება წარმოადგენდა დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით.

სახალხო დამცველის მიერ იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციით გაირკვა, რომ ჩანაწერის გაკეთებისას არ ხდება ეროვნული უმცირესობების ენაზე გამოთქმის წესისა და სტილის დაცვა.

2015 წლის 6 აპრილს სახალხო დამცველს მომართა მომჩივანმა და აღნიშნა, რომ კომუნიკაცია შედგა მასსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სამოქალაქო აქტებისა და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შორის, რის შემდეგაც სამსახურმა, სადავოდ გახდილი პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ზომების გატარება დაიწყო. კერძოდ, მიმდინარეობს დოკუმენტაციის ჩასწორება მოქალაქეთა მიმართვიანობის საფუძველზე, მითითებულ სქემაში, ეთნოსისა და სქესის ნიშნის გათვალისწინებით. განმცხადებელმა ასევე მაღლობა გადაუხადა სახალხო დამცველს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ პრობლემა სწორედ მისი რეაგირების შედეგად აღმოიფხვრა.

სახალხო დამცველმა საქმის წარმოება შეწყვიტა მომჩივნის თხოვნით 2015 წლის 14 აპრილს.

საქმე N2602/15

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ქ.ქ.-მ (შემდგომში „მომჩივანი“). განცხადებაში მომჩივანი აღნიშნავდა, რომ იგი 2014 წლის 15 მარტიდან ერთწლიანი ხელშეკრულებით მუშაობდა ფირმა ფ-ს წარმომადგენლობით ოფისში. 2015 წლის 5 მარტს მან დამსაქმებლისგან შეიტყო, რომ მასთან ხელშეკრულებას აღარ გააგრძელებდნენ. მისი მოსაზრებით, მიზეზი მისი ორსულობა იყო.

სახალხო დამცველმა აღნიშნული საჩივრის საფუძველზე დაიწყო საქმის შესწავლა, თუმცა 2015 წლის 24 მარტს, შემოვიდა მომჩივნის წერილი, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ დამსაქმებლისგან მიიღო კომპენსაცია და ითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა შეწყვიტა საქმის წარმოება 2015 წლის 15 აპრილს.

საქმე N 1004/15

სახალხო დამცველისთვის, ინტერნეტ საიტ www.jobs.ge-ზე გამოქვეყნებული მასალებიდან ცნობილი გახდა 2014 წლის 26 დეკემბერს კერძო ბანკის მიერ, მარკეტინგის ასისტენტის პოზიციაზე გამოქვეყნებული ვაკანსიის შესახებ. განცხადებაში მითითებული იყო, რომ სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭებათ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს.

სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული საქმის შესწავლა და გამოითხოვა ინფორმაცია მოპასუხე ბანკიდან, რომელმაც განმარტა, რომ ვაკანსიის მითითებული ფორმულირებით გამოქვეყნება ტექნიკური ხარვეზი იყო და ტექსტის ფორმულირება მესამე პირის მოსაზრების მიღებისთანავე შეცვალეს.

გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სახალხო დამცველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განსახილველ საქმეში მოპასუხე ბანკმა აღმოფხვრა სავარაუდო დისკრიმინაციის შედეგი, რადგან მან მყისიერადვე ამოიღო ის ფორმულირება, რომელიც გაუმართლებლად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებდა ქალებსა და მამაკაცებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2015 წლის 21 აპრილს, მიიღო გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქმე N 1299/15

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ნ.ყ.-მ (შემდგომში „მომჩივანი“), რომელიც მიუთითებდა, რომ კლინიკა „ჰ-ს“ მხრიდან ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას მისი რელიგიური შეხედულებების გამო, ვინაიდან იგი არის იეჰოვას მოწმე. ერთ-ერთი ინციდენტის შედეგად საჭირო გახდა მისი ჰოსპიტალიზაცია და სისხლის გადასხმა, ამ უკანასკნელზე მომჩივანმა უარი განაცხადა მისი რელიგიური კუთვნილების გამო, ხოლო საავადმყოფომ მას არ მისცა საშუალება გადასულიყო სხვა კლინიკაში თანხის დაფარვის გარეშე.

სახალხო დამცველმა კლინიკა „ჰ-ს“ სთხოვა მოეწოდებინა ინფორმაცია პაციენტისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შესახებ ხარჯთაღრიცხვის მითითებით; ასევე, ინფორმაცია მიეცა თუ არა მომჩივანს სხვა კლინიკაში გადასვლის შესაძლებლობა თავისი სურვილისამებრ.

2015 წლის 15 აპრილს მოგვმართა მომჩივანმა და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან სახალხო დამცველის მიერ კლინიკა „ჰ-ს-თვის“ გაგზავნილი წერილის შემდეგ მას დაუკავშირდნენ კლინიკის წარმომადგენლები და შესთავაზეს დავის მოგვარება. მომჩივანმა მადლობა გადაუხადა სახალხო დამცველს და განმარტა, რომ დავა კლინიკასთან აღარ გააჩნია.

სახალხო დამცველმა, 2015 წლის 30 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქმე N 19702/1

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა არასამთავრობო ორგანიზაცია „პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და ინოვაციური პროექტების ასოციაციამ“. განცხადებაში მითითებული იყო, რომ სსიპ ბათუმის ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგები დისკრიმინაციულად მოეპყრნენ ასოციაციის ტრენერს გ.ჩ-ს (შემდგომში „ასოციაციის ტრენერი“). კერძოდ, არ მისცეს მას საშუალება ჩატარებინა დაგეგმილი ტრენინგი მისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო.

საქმის დეტალების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინციდენტთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯარო სკოლიდან. ასევე გამოიკითხნენ პედაგოგები, თავად მომჩივანმა წარმოადგინა ინციდენტის ამსახველი აუდიო და ვიდეო ჩანაწერი.

მოპოვებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 20 ნოემბერს სკოლის ელ-ფოსტაზე შევიდა ინფორმაცია მომჩივანი ორგანიზაციიდან, რომელიც სთავაზობდა ტრენინგს „პედაგოგთა ინოვაციური პროექტებისა და სასკოლო საგრანტო პროგრამების ადმინისტრირებისა და „საქმისწარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემებისა და საუწყებო არქივის ადმინისტრირების“ შესახებ. იქვე მითითებული იყო, რომ პედაგოგებზე გაიცემოდა აკრედიტირებული, ორენოვანი სერტიფიკატი. ტრენინგზე დასწრების საფასური, 20 ლარი 22 პედაგოგმა წინასწარ გადაიხადა და გამოცხადდა ტრენინგზე.

ვიდეო-ჩანაწერიდან ჩანს, რომ სკოლის დირექტორის მოადგილე კითხულობს, იყო თუ არა ასოციაცია განათლების სამინისტროსთან არსებული და ვინ გასცემდა სერტიფიკატს, რაზედაც ასოციაციის ტრენერი პასუხობს, რომ ეს არ იყო სამინისტროსთან არსებული ასოციაცია და სერტიფიკატს თავად ასოციაცია გასცემდა. აღნიშნულის შემდეგ დირექტორის მოადგილე აცხადებს, რომ მას არ აკმაყოფილებს ასოციაციის მიერ ჩატარებული ტრენინგი ტრენერის პიროვნული თვისებებისა და კვალიფიკაციის გამო. პედაგოგები კითხულობენ თუ არის შესაძლებელი ტრენერის შეცვლა, რაზედაც ისინი უარყოფით პასუხს ღებულობენ. აღნიშნულის შემდეგ პედაგოგები იღებენ გადაწყვეტილებას დატოვონ ტრენინგი და სთხოვენ ასოციაციის ტრენერს თანხის დაბრუნებას. ასოციაციის ტრენერი მათ უხსნით, რომ თანხა დაუბრუნდებათ იმის გამოკლებით რაც იყო აუცილებელი მივლინების ხარჯების დასაფარავად და ტრენინგის დასაორგანიზებლად. ვიდეოში არ ჩანს, რომ ასოციაციის ტრენერს რომელიმე პედაგოგი აყენებს შეურაცყოფას ან გაკვრით მაინც მოიხსენიებს მის სექსუალურ ორიენტაციას ან/და გენდერულ იდენტობას. ვიდეოში ისმის, თუ როგორ ეუბნება ასოციაციის ტრენერი პედაგოგებს, რომ მიმდინარეობს საუბრის ჩაწერა.

სკოლის დირექტორის მოადგილისა და სხვა პედაგოგების გამოკითხვის ოქმებში აღნიშნულია, რომ ისინი იცნობდნენ ასოციაციის ტრენერს, როგორც ადამიანს რომელსაც სასამართლო დავა ჰქონდა მათ კოლეგასთან და ასევე გარეული იყო გარკვეულ ფინანსურ მაქინაციებში სხვადასხვა კომპანიასთან. სკოლის დირექტორის მოადგილე აცხადებს, რომ მან კვალიფიკაციაში იგულისხმა ასოციაციის ტრენერის

არაპედაგოგიური გამოცდილება, ხოლო რეპუტაციაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური მაჩინაციები.

მომჩივანს გაეგზავნა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი, თუმცა დამატებითი მტკიცებულებები მას არ წარმოუდგენია და არც საკუთარი პოზიცია დაუფიქსირებია მათ შესახებ. ვინაიდან, არც მომჩივნის მიერ მოწოდებული მტკიცებულებებით და არც თანასწორობის დეპარტამენტის მიერ მოპოვებული მასალებით არ წარმოიშვა განმცხადებლის მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობის ვარაუდი, სახალხო დამცველმა, 2015 წლის 21 მაისს, მიიღო გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქმე N 15956/1

სახალხო დამცველს საჩივრით მომართა ხ.ზ.-მ. (შემდგომში „მომჩივანი“), რომელმაც აღნიშნა, რომ ფოთის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორისგან განიცდიდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ხოლო დირექტორი მას აძლევდა სახვითი ხელოვნების გაკვეთილებს დირექტორისგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო. ამასთან, მას კვირაში მხოლოდ 4 საათი ჰქონდა გამოყოფილი.

სახალხო დამცველმა, საქმის შესწავლისა და დეტალების გამოსარკვევად ორჯერ გამოითხოვა ინფორმაცია ფოთის საჯარო სკოლიდან. ამას გარდა, გამოიკითხნენ სკოლის პედაგოგები და მანდატურები. თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ასევე ჩაატარეს ზეპირი მოსმენა მხარეთა მონაწილეობით.

მოპოვებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დირექტორი სკოლაში არ საუბრობს საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების და პოზიციების შესახებ, მომჩივანმა თავადაც განაცხადა, რომ სკოლაში არიან სხვა პედაგოგები, რომლებიც მიეკუთვნებიან იმავე პარტიას როგორც თვითონ, თუმცა ისინი არანაირ დაბრკოლებებს არ აწყდებიან სკოლაში. ამასთან, მხარეთა და მოწმეთა გამოკითხვით ასევე დადგინდა, რომ მომჩივნისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის საათების შეცვლა სახვითი ხელოვნების საათებით დაკავშირებული იყო მის პროფესიულ და პედაგოგიურ უნარ-ჩვევებთან და არა მის პოლიტიკურ შეხედულებებთან. პედაგოგიურ უნარ-ჩვევებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციასთან

დაკავშირებული პრობლემების ქონა არ უარუყვია თავად მომჩივანსაც და ამას გარდა განაცხადა, რომ მსგავსი სახის პრობლემები მას ასევე ჰქონდა წინა წლებშიც, ახლანდელი დირექტორის მოსვლამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არ დადგინდა პოლიტიკური მოტივით განსხვავებული მოპყრობის ფაქტი, სახალხო დამცველმა 2015 წლის 25 მაისს, მიიღო გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქმე N 12830/1

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა უცხო ქვეყნის მოქალაქე ა.ჩ.-მ (შემდგომში „მომჩივანი“), რომელიც სადავოდ ხდიდა სუპერმარკეტ „სმარტსა“ და რესტორან „მაკდონალდსში“ დაცვის თანამშრომელთა და საპატრულო პოლიციის მხრიდან უმოქმედობას, მისი კანის ფერის გამო.

მომჩივანმა განაცხადა, რომ 2014 წლის 26 ივნისს ის და მისი მეუღლე იმყოფებოდნენ სუპერმარკეტ „სმარტში“, სადაც შენიშნეს, რომ უცნობი მამაკაცი მტრულად უყურებდა და დაჟინებით აკვირდებოდა. აღნიშნულის გამო, მომჩივანის მეუღლე მივიდა უცნობთან და ჰკითხა რა იყო ამგვარი მტრული გამოხედვის მიზეზი. უცნობი აგრესიულად იქცეოდა და ყვირილით ეუბნებოდა მომჩივანს, გარეთ დავილაპარაკოთ—ო. მომჩივანის განცხადებით, შელაპარაკების დროს დაცვის თანამშრომელი იქვე იდგა, თუმცა არაფერი მოიმოქმედა სიტუაციის განსამუხტად.

აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მიმართა სს „სმარტ რითეილს“ და გამოითხოვა 2014 წლის 26 ივნისს გაკეთებული ვიდეო ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რომ მომჩივანი და მისი მეუღლე იმყოფებოდნენ კვებისთვის განკუთვნილ მაგიდებთან. მათ გვერდით ჩაუარა „სმარტის“ ერთ-ერთმა მომხმარებელმა, რომელმაც რამდენჯერმე შეხედა მომჩივანს და მივიდა საკვები პროდუქტის დახლთან. მას მიუახლოვდა მომჩივანის მეუღლე და დაახლოებით 40 წამის განმავლობაში ესაუბრა, რის შემდეგაც შელაპარაკება მოხდა მომჩივანსა და უცნობს შორის და უცნობი ისევ დაბრუნდა კვების პროდუქტებისათვის განკუთვნილ დახლთან. ვიდეო ჩანაწერიდან ჩანს, რომ დაცვის თანამშრომელი მივიდა მასთან და ესაუბრა. აღნიშნულის შემდეგ უცნობმა ადამიანმა დატოვა „სმარტი“. მომჩივანმა და მისმა მეუღლემ კი გააგრძელეს „სმარტის“ მომსახურებით სარგებლობა.

რაც შეეხება რესტორან „მაკდონალდსში“ მომხდარ ფაქტს, მომჩივანმა აღნიშნა, რომ ის თავის მოწაფესთან ერთად იმყოფებოდა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე რესტორან „მაკდონალდსში“. მათ მიუახლოვდა ორი მამაკაცი და უხეშად მიმართა როგორც მომჩივანს, ასევე მის მოსწავლეს. მომჩივანი იგნორირებას უკეთებდა უცნობთა საქციელს, თუმცა ისინი თავს არ ანებებდნენ და ერთ-ერთმა მათგანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მომჩივანი აცხადებს, რომ ამის შემდეგ რესტორან „მაკდონალდსის“ დაცვამ თავდამსხმელების ნაცვლად, ის გაიყვანა გარეთ. მომჩივანის განცხადებით შემთხვევის ადგილზე მოვიდა საპატრულო პოლიცია. პოლიცია დაელაპარაკა „მაკდონალდსის“ დაცვას, შემდეგ მივიდა მასთან. თავდამსხმელებიც გამოვიდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ხელი ჩამოართვა და უთხრა შევრიგდეთო, ხოლო მეორეს მომჩივანმა მიუგო, რომ მას ხელს არ ჩამოართმევდა, ვინაიდან იგი ხელით შეეხო. ერთ-ერთმა პოლიციელმა განმცხადებელს ჰკითხა რაიმე პრობლემა ხომ არ ჰქონდა, მან კი უპასუხა, რომ მას არ სჭირდებოდა პრობლემები (მომჩივანი განმარტავს, რომ მის ქვეყანაში პოლიციელის მხრიდან კითხვას – გაქვს თუ არა რაიმე პრობლემა, უარყოფითი მნიშვნელობა აქვს). ამის შემდეგ მომჩივანმაც და პოლიციამაც დატოვა „მაკდონალდსი“. ცოტა ხანში მომჩივანი მეუღლესა და სიმამრთან ერთად და ასევე პოლიციაც „მაკდონალდში“ დაბრუნდნენ. მომჩივანმა პოლიციელს განუცხადა, რომ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა თავი ცხვირში ჩაარტყა და ისიც უთხრა, თუ სად შეიძლებოდა მათი ნახვა. პოლიციამ აღნიშნა, რომ ვინაიდან მან უთხრა, რომ პრობლემები არ უნდოდა, ამიტომ არ მოახდინეს რეაგირება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტიდან მიღებულ პასუხში მითითებული იყო, რომ ფაქტთან დაკავშირებით არ ყოფილა საპატრულო პოლიცია გამოძახებული და ინფორმაცია არ ფიქსირდება. სახალხო დამცველმა მიმართა შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, საიდანაც გვაცნობეს, რომ მათთვის არ არის ცნობილი მომჩივანის მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტის შესახებ.

ამასთან, სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინციდენტის ამსახველი ვიდეო მასალა რესტორან „მაკდონალდსიდან“. ამ კერძო დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციით, რესტორნების ქსელი „მაკდონალდსი“ მხოლოდ 10 დღის განმავლობაში ინახავს ჩანაწერებს, ხოლო შემდეგ კი ავტომატურად იშლება. შესაბამისად 2014 წლის 28 ივნისის ჩანაწერები არ მოეპოვებათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი და სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული მასალებით არ იკვეთებოდა „სმარტის“ დაცვის თანამშრომლის მიერ მომჩივნის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობა მისი კანის ფერის გამო, რაც შეეხება მეორე შემთხვევას, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო სახალხო დამცველი მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა მაკდონალდსში მომხდარ ფაქტზე. შესაბამისად, 2015 წლის 25 მაისს, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ე) გადაწყვეტილებები განცხადების დაუშვებლად ცნობის შესახებ

საქმე N1412/15

2015 წლის 5 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ს.დ.-მ. (შემდგომში „მომჩივანი“), რომელიც მიუთითებდა, რომ მან გამოძიების დაწყების თხოვნით მიმართა საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს III განყოფილებას. ს.დ. სადავოდ ხდოდა მისთვის თანხის არდაბრუნების საკითხს. მომჩივანი მიუთითებდა, რომ გამომძიებელმა გამოძიება არ დაიწყო იმის გამო, რომ ეროვნებით რუსია.

ვინაიდან წარმოდგენილი განცხადებიდან არ იკვეთებოდა არც პირდაპირი და არც ირიბი დისკრიმინაციის ვარაუდი, განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი 2015 წლის 2 მარტს.

საქმე N 19989/1

2014 წლის 4 დეკემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ნ.მ.-მ. (შემდგომში „მომჩივანი“). ის სადავოდ ხდოდა, რომ ადგილი ჰქონდა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციას, ვინაიდან ერთ-ერთ მღვდელმსახურს არ მიეცა საჯარო ლექციის ჩატარების უფლება ერთ-ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

თანასწორობის დეპარტამენტის მიერ მღვდელთმსახურთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ეს პირი არ მიიჩნევა თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად და არ სურდა საქმისწარმოებაში მონაწილეობის მიღება. სახალხო დამცველის აპარატმა სთხოვა მომჩივანს წარმოედგინა იმ სტუდენტთა მხრიდან გაცემული რწმუნებულება, რომლებიც შესაძლოა დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევენ თავს, თუმცა მომჩივანმა მიმართვას არ უპასუხა.

შესაბამისად, 2015 წლის 11 მარტს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განცხადების დაუშვებლად ცნობის შესახებ.

საქმე N 1958/15

2015 წლის 18 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ხ.ბ.-მ (შემდგომში „მომჩივანი“). მომჩივანი აცხადებდა, რომ იგი იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი მისი შეზღუდული შესაძლებლობის, კერძოდ, დაქვეითებული მხედველობის გამო. თანასწორობის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დეპარტამენტმა მის საცხოვრებელ სახლში გამოკითხა მომჩივანი.

მომჩივანმა განმარტა, რომ 1992 წელს დატოვა საქართველო და წავიდა ამერიკაში საცხოვრებლად. 2012 წელს კი იგი დაედასთან ერთად დაბრუნდა საქართველოში.

2003 წელს მას თვალეზზე პრობლემა შეექმნა და ამერიკაში სამსახურიდან გაათავისუფლეს. მან დაიქირავა ადვოკატი და შეიტანა სამსახურის წინააღმდეგ სარჩელი, ვინაიდან მიიჩნევა, რომ მას დისკრიმინაციულად მოეპყრნენ. მის საქმეზე არ დადგა კონკრეტული შედეგი და არც კომპენსაცია მიუღია.

ამავე დროს მომჩივანმა აღნიშნა, რომ როდესაც მისი შვილი იმყოფებოდა ინფექციურ საავადმყოფოში მას ექიმები ძალიან უხეშად ესაუბრებოდნენ. დამატებით, მომჩივანმა განაცხადა, რომ ის თავისი ტელეფონიდან ვერ რეკავდა სახელმწიფო დაწესებულებებში.

დასმულ კითხვაზე, თუ კონკრეტულად რა მოთხოვნა ჰქონდა მომჩივანს სახალხო დამცველთან, განაცხადა, რომ მას უნდა ამერიკაში დაბრუნება, ვინაიდან აქ ის თავს დაცულად ვერ გრძნობს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში პრობლემის გადაწყვეტა სახალხო დამცველის კომპეტენციას და უფლებამოსილებას სცილდებოდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ 2015 წლის 12 მარტს.

საქმე N 3032/15

2015 წლის 23 მარტს სახალხო დამცველს მომართა მოქალაქე გ.ჩ-მ (შემდგომში „მომჩივანი“).

მომჩივანი აღნიშნავდა, რომ მეზობლების სახლიდან ჩამოდიოდა ქიმიური ნივთიერებების სუნი, მისი მეზობელი სახლში დადიოდა ქუსლიანი ფეხსაცმლით და ხმაურით აწუხებდა. მომჩივანი ასევე აღნიშნავდა, რომ ხორციელდება მისი ტელეფონების მოსმენა მეზობლების მიერ. მომჩივანი დისკრიმინაციულ მოპყრობად თვლიდა, მაგალითად იმას, რომ მეზობელი აგრესიულად აჯახუნებდა სადარბაზოს რკინის კარებს და იყენებდა ამას, როგორც ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებას.

ზეპირი გასაუბრების დროს მომჩივანმა აღნიშნა, რომ მეზობელს აქვს ბოროტი განზრახვა და მისი ბინის ხელში ჩაგდება სურს.

ვინაიდან, მომჩივანმა ვერ მიუთითა ფაქტებზე რომლებიც მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ექვს აღძრავდა, მისი განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი 2015 წლის 8 აპრილს.

საქმე N 3399/15

2015 წლის 25 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ი.კ.-მ. (შემდგომში „მომჩივანი“), რომელიც სადავოდ ხდიდა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობას. კერძოდ, მომჩივნის თქმით ის არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და არ სურს ახალი პირადობის მოწმობის (ID ბარათის) აღება, თუმცა იძულებულია ასე მოიქცეს, ვინაიდან ძველ პირადობის მოწმობას ვადა გაუვიდა და პრობლემა ექმნება უძრავი ქონების რეგისტრაციაზე.

იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნულ საქმეში არსებული მასალებით არ იკვეთებოდა არც პირდაპირი და არც ირიბი დისკრიმინაციის ვარაუდის არსებობა, განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი 2015 წლის 30 აპრილს.

საქმე N 3397/15

2015 წლის 24 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ლ.ლ-მ. (შემდგომში „მომჩივანი“). განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მომჩივანი მუშაობდა კაფეში დამლაგებლად და მისი უფლებები სისტემატურად ირღვეოდა ხელმძღვანელების მხრიდან. კერძოდ, უმოწმებდნენ ნივთებს.

მომჩივანთან მოხდა ზეპირი გასაუბრება, სადაც მან ვერ მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ეჭვს აღძრავდა. შესაბამისად, მისი განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი 2015 წლის 8 მაისს.

თავი III. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით სასამართლოსთვის მიმართვა

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (*Amicus Curiae*) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“

დისკრიმინაციის დავებთან დაკავშირებით, განსახილველ პერიოდში, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ორ საქმეზე წარადგინა.

წარდგენილი წერილობითი მოსაზრებები მიზნად არ ისახავდა რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას. იგი მხოლოდ და მხოლოდ ახდენდა იმ სტანდარტების იდენტიფიცირებას, რომლებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით მსგავს საქმეებზე.

1. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს

2015 წლის 16 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ამხანაგობის „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“ წარმომადგენელმა მ. ც. და ადმინისტრაციულ საქმეში მოსარჩელების - ა.ვ.-ს, თ.ც.-ს და ნ.ბ.-ს სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენა სთხოვა.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთებოდა, რომ რელიგიური ორგანიზაციის „იეჰოვას მოწმეთა“ არარეგისტრირებულ კავშირ „თ“-ს თერჯოლაში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, 2014 წლის 3 ივნისის ბრძანების თანახმად, შეჩერდა მშენებლობის ნებართვა, რასაც საფუძვლად დაედო თერჯოლაში მცხოვრები კ.მ.-ს განცხადება, რომლის თანახმად, მიმდინარე მშენებლობა საფრთხეს უქმნიდა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთისა და საავტომობილო გზების მთლიანობას, ასევე საავტომობილო გზების მდგრადობას.

მოსარჩელების მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის თანახმად, მშენებლობის წარმოება იმავე ქუჩაზე მდებარე ი.ც.სა და კ.მ.-ს საცხოვრებელ სახლებზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენდა და მათ მდგრადობას საფრთხეს არ შეუქმნიდა.

მშენებლობის ნებართვა აღნიშნული დასკვნის მიღების შემდეგაც არ გაგრძელებულა.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ საქმეში შეიძლება გამოკვეთილიყო რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობა, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, რომ წარედგინა საქმის განმხილველი სასამართლოსთვის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, სრულად ეყრდნობოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და მოსამართლეს სთავაზობდა საქმე იმ წინაპირობების შესაბამისად შეეფასებინა, რითაც, მსგავსი დავების განხილვისას, ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.⁹

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში განიმარტა, რომ დისკრიმინაცია სახეზეა აშკარაა, როდესაც პირს ხელი ეშლება **საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ**, არ არსებობს **კანონით განსაზღვრული მიზანი**, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება** და იგი **დასახული მიზნის არათანაზომიერია**.

კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით გაკეთდა განმარტება, რომ რელიგიის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით.

⁹ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში გამოყენებული გადაწყვეტილებები და წყაროები:
Eweida and others v. United Kingdom, app. nos: 48420/10, 59842/10, 51671/10 and 36516/10, 15/01/2013;
Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia, app. no. 302/02, 10/06/2010;
Burden v. United Kingdom, app. no. 13378/05, 29/04/2008;
Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, app. no. 45701/99, 27/03/2002;
Serif v. Greece, app. no. 38178/97, 14/12/1999;
Buscarini and Others v. San Marino, app. no. 24645/94, 18/02/1999;
Manoussakis v. Greece, app. no. 18748/91, 26/09/1996;
Kokkinakis v. Greece, app. no. 14307/88, 25/05/1993;
გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარები და რეკომენდაციები 22;

ეს უფლება იცავს რელიგიის გამოხატვის და რელიგიური რიტუალებისთვის შენობა-ნაგებობის აშენების უფლებასაც.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში შეფასებული იყო კომპარატორის საკითხიც და მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებაც.

აღინიშნა, რომ ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემტკიცებინა, რომ იგი კანონიერი მიზნის მისაღწევად მოქმედებდა. უნდა შეფასებულიყო, თუ რა რეალურ მიზანს ისახავდა მოსარჩელეთათვის მშენებლობის აკრძალვა და რამდენად იყო რელიგიის უფლების შეზღუდვა დასახული მიზნის პროპორციული.¹⁰

მოსამართლემ მიიღო სასამართლოს მეგობრის მოსაზრება და დაურთო საქმის მასალებს. განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილება ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ 2015 წლის 19 მარტს მიიღო.

მოსამართლემ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო დისკრიმინაცია. სასამართლოს განმარტებით არ დადასტურდა, რომ მოსარჩელებს ხელი ეშლებოდათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობაში, რადგან მათ მოიპოვეს მშენებლობის ნებართვა, ხოლო შემდგომი ნებართვის მოქმედების შეჩერება განხორციელდა კანონის საფუძველზე.

სასამართლომ განაგრძო მსჯელობა და აღნიშნა, რომ არც არათანაბარი მოპყრობა იყო სახეზე, რადგან არ არსებობდა კომპარატორი, კერძოდ, მოპასუხეთა განმარტებით, ანალოგიური ხასიათის საჩივრით დაინტერესებულ პირს მათთვის არ მიუძღმარათ და შესაბამისად არ არსებობდა შესაძარებელი პირი.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე მოქმედებდა ლეგიტიმური მიზნის ფარგლებში, რადგან ნებართვის მოქმედების შეჩერების მიზანი იყო მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან.

სასამართლომ, დასკვნის სახით, მიუთითა, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების თანაზომიერება დაადასტურა 2014 წლის 11 ივლისის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებამ, სადაც ეს ღონისძიება მიჩნეულ იქნა კანონიერად და თანაზომიერად ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

¹⁰ სრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/ge/diskriminaciis-preveniis-meganizmi/gadawyvetilebebi/amicus-curiae>

მისასაღმებლია, რომ სასამართლომ მიიღო სასამართლოს მეგობრის მოსაზრება და იმსჯელა დისკრიმინაციის ფაქტის არსებობა/არ არსებობაზე.

2. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ბათუმის რაიონულ სასამართლოს

2014 წლის 10 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის - EMC დირექტორმა, თ.მ.-მ და ა(ა)იპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის“ წევრთა კ.კ.-ს, ბ.ი.-ს და თ. ხ.ს.-ს სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენა სთხოვა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელებს იჯარით ჰქონდათ აღებული შენობა, სადაც გეგმავდნენ მუსლიმი მოსწავლეთათვის პანსიონის გახსნას. ქობულეთის მოსახლეობამ, რომელიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებს, მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელშეშლის მოტივით, პანსიონთან ღორი დაკლა და ცხოველის თავი შენობის კარზე მიაჭედა.

მოსარჩელეთა თქმით, შეკრების მონაწილეები აკონტროლებდნენ პანსიონის შენობაში გადაადგილების პროცესს. ამასთან, 2014 წლის 15 სექტემბერს პანსიონის შესასვლელთან აღმართეს ხელოვნური ბარიკადები, ადგილზე მუდმივად მორიგეობდნენ და სისტემატურად უზღუდავდნენ პანსიონში შესვლის მსურველებს გადაადგილების თავისუფლებას, რასაც იძულებით, მუქარითა და სიტყვიერი შეურაცხყოფით ახორციელებდნენ.

მოსარჩელები ასევე აღნიშნავენ, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს ფამილიარული დამოკიდებულება ჰქონდათ დემონსტრანტებთან, მათ არ მოახდინეს ხელოვნური ბარიერების დემონტაჟი და რეაგირების გარეშე დატოვეს გამოვლენილი სამართალდარღვევები. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეთა მითითებით, პანსიონის გახსნა შეუძლებელი აღმოჩნდა მოპასუხე ფიზიკურ პირთა მიერ გამართული საპროტესტო აქციების, ხელშეშლისა და სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

სახალხო დამცველის მიერ მომზადებულ სასამართლო მეგობრის წერილში აქცენტი გაკეთდა ორ ძირითად სამართლებრივ საკითხზე – რა სტანდარტს ადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ერთი მხრივ, კერძო პირთა და მეორე

მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან, რელიგიის ნიშნით მომხდარი სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების შეფასებისას.¹¹

ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა/შეთანხმებათა ანალიზისა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, სასამართლოს მეგობრის წერილში გამოითქვა მოსაზრება, რომ კანონით გათვალისწინებული სავარაუდო უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც შეიძლება ხელი შეშლოდათ მოსარჩელებს განსახილველ შემთხვევაში, სავარაუდოდ, უკავშირდებოდა მოსარჩელეთა საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებას და უფლებას სწავლებით გამოეხატათ საკუთარი რელიგია.

წერილობით მოსაზრებაში ასევე ჩამოყალიბებული იყო მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი. ანტიდისკრიმინაციული კანონის და ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, მოპასუხე ფიზიკურ პირებს ეკისრებოდათ ვალდებულება ემტკიცებინათ, რომ მათ მიერ განხორციელებული ქმედებები ჩადენილი არ იყო მოსარჩელეთა სარწმუნოების გამო. ჩადენილი ქმედებების სავარაუდო რელიგიურ მოტივირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო მათ მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების, პროტესტის შინაარსის, აქციის

¹¹ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში გამოყენებული გადაწყვეტილებები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/477 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

Eweida and others v. United Kingdom, application nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10;

Burden v. United Kingdom, application no: 13378/05;

Nachova and others v. Bulgaria, Application nos. 43577/98;

Members of the Gldani Congregation of Jehovah’s Witnesses and 4 others v. Georgia, Application no. 71156/01

Begheluri and others v. Georgia, Application no. 28490/02

Milanović v. Serbia, Application no. 44614/07;

P.F. and E.F. v. the United Kingdom (dec.), Application no. 28326/09;

Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, applicarion. no. 45701/99;

Manoussakis v. Greece, application. no. 18748/91;

Jehovah’s Witnesses of Moscow v. Russia, application. no. 302/02;

Saghinadze and Others v. Georgia, Application no. 18768/05;

Kokkinakis v. Greece, Application no. 14307/88;

Serif v. Greece, Application no: 38178/97;

Young, James and Webster v. United Kingdom, Application no. 7601/76

დროს ჩატარებული რელიგიური რიტუალების, ასევე თავად ღორის, როგორც მუსლიმთათვის უწმინდური ცხოველის, დაკვლის და შენობაზე მისი თავის მიჭედების ფაქტის შეფასება. თუ მოპასუხეები მიუთითებდნენ, რომ პანსიონის პარალიზება მოხდა საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის თუ სხვათა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად, მათ კონკრეტულად უნდა ემტკიცებინათ თუ როგორ დაარღვევდა პანსიონის მოქმედება საზოგადოებრივ წესრიგს და როგორ შელახავდა ზნეობას.

რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულება იყო ემტკიცებინა, რომ მათ ყველა ღონე იხმარეს მომჩივანთა რელიგიის გამოხატვისა და საკუთრების უფლებით დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული საქმე სასამართლო განხილვის ეტაპზეა და ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

თავი IV. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ხარვეზები

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით საქართველოს პარლამენტმა დისკრიმინაციასთან ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად აღიარა, ვინაიდან დისკრიმინაციისაგან თავისუფალი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია პლურალიზმის იდეაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის და განსხვავებული ჯგუფების მიმართ ტოლერანტულად განწყობილი საზოგადოების ფორმირებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმა აკრძალა არა მხოლოდ პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია, არამედ დისკრიმინაცია ასოციაციით და დისკრიმინაციის იძულება, წაქეზება და ხელშეწყობა როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში.

მიუხედავად კანონმდებლის მონდომებისა, სამწუხაროდ, არსებობს ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის აღნიშნულ კანონს ეფექტურად შეუწყოს ხელი სახელმწიფოში დისკრიმინაციის აღმოფხვრას და თანასწორობისთვის ბრძოლას. აღნიშნული ხარვეზები შეიძლება პირობითად დავყოთ პროცესუალურ და მატერიალური ხასიათის ხარვეზებად.

1. პროცესუალური ხასიათის ხარვეზები

კანონმა დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის ფუნქცია სახალხო დამცველს მიანიჭა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არსებობდა საჭიროება, სახელმწიფოში არსებულიყო დისკრიმინაციის ფაქტებზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო. კანონმა არა მხოლოდ დეკლარირებულად მიანიჭა სახალხო დამცველს აღნიშნული ფუნქცია, არამედ გაითვალისწინა ქმედითი მექანიზმი, რაც სახალხო დამცველს თანასწორობის უზრუნველყოფაში დაეხმარება, კერძოდ დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლა, მორიგების პროცედურა, რეკომენდაციების და ზოგადი წინადადების გაცემის უფლება როგორც კერძო, ასევე საჯარო პირების მიმართ. მიუხედავად აღნიშნულისა, სხვადასხვა სამართლებრივი ნორმები და ხარვეზები, სახალხო დამცველს უქმნის

რეალურ დაბრკოლებას ეფექტურად განახორციელოს მასზე დაკისრებული დისკრიმინაციის აღმოფხვრის და თანასწორობის უზრუნველყოფის ფუნქცია, ხოლო დისკრიმინაციისგან დაზარალებულს ხელს უშლის ეფექტურად აღიდგინოს მისი დარღვეული უფლებები.

- საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 38-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, დასაქმებულს შეუძლია დამსაქმებლის მიერ გამოცემული გათავისუფლების ბრძანება გაასაჩივროს ბრძანების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363² მუხლის მიხედვით, „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა.“ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა შესაძლებელია „3 თვის განმავლობაში, მას შემდეგ რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია.“

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი კი ადგენს, რომ სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს.

სახალხო დამცველის პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დისკრიმინაციის ფაქტების უმეტესობა ეხება შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტას დისკრიმინაციული მოტივებით. იმ პირობებში, რომ დასაქმებულებს არსებითად მცირე დრო ეძლევათ გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად და სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვის პროცესში იძულებითი განაცდურის ანაზღაურება არ მოხდება, უმეტეს შემთხვევაში, სახალხო დამცველისთვის მიმართვის პარალელურად მომჩივანი სარჩელით მიმართავს სასამართლოსაც, რაც იწვევს სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოების შეჩერებას. სახალხო დამცველმა უკვე ექვს მნიშვნელოვან საქმეზე შეაჩერა საქმის განხილვა სასამართლოსთვის მიმართვის გამო.

იგივე შეიძლება ითქვას სხვა დავებზე, სადაც სასამართლოსადმი მიმართვის ვადა არის სამი თვე და სადაც მომჩივანს სასამართლოში სარჩელი შეაქვს იმის გამო, რომ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. შედეგად, უამრავი დავა და მათი სწრაფი მოგვარების შესაძლებლობა სახალხო დამცველის კომპეტენციის გარეთ რჩება.

სახალხო დამცველისთვის და სასამართლოში სარჩელით მიმართვა არის ძირითადი ბერკეტები იმ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად განსახორციელებლად, რასაც დისკრიმინაციასთან ბრძოლა გულისხმობს. საკანონმდებლო ბადა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სახალხო დამცველისა და სასამართლოს ფუნქციები არ ფარავდეს ერთმანეთს და მათი ერთობლივი თანაარსებობა, ურთიერთდახმარების გზით, ორიენტირებული იყოს დისკრიმინაციისგან ადამიანთა ეფექტურ დაცვაზე.

- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო „მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება“.

ადმინისტრაციული წარმოება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ნაწილია, რომელიც ფართო დისკრეციით და მიზანშეწონილობით სარგებლობს. მისი საქმიანობის ბუნების გათვალისწინებით, ის „ადვილად“ შეიძლება მოვიდეს კონფლიქტში ადამიანის უფლებებთან. თუ ქვემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უკვე მოახდინა დისკრიმინაცია, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია უკვე მომხდარ ფაქტზე რეაგირებისა და დარღვეული უფლების ეფექტური აღდგენის შესაძლებლობა (დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, ზიანის ანაზღაურების), რის გამოც ის სახალხო დამცველთან საქმის განხილვის ალტერნატიულად მექანიზმად არ შეიძლება განვიხილოთ; უშუალოდ ადმინისტრაციული წარმოების დროს ხშირად ადგილი აქვს წარმოების გაჭიანურებას, ამიტომ წარმოების დასრულებისთვის დალოდება დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირებას დააყოვნებს.

შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, თუ მე-9 მუხლიდან მთლიანად ამოღებული იქნება „ბ“ ქვეპუნქტი.

- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ნებისმიერი ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (მათ შორის, პროკურატურა, საგამომიებო ორგანო, სასამართლო) ვალდებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუთი, ახსნა-განმარტება და სხვა ინფორმაცია კანონით დადგენილი წესების დაცვით გადასცეს საქართველოს სახალხო დამცველს მოთხოვნიდან 10 კალენდარული

დღის ვადაში.“ იმავე მუხლის შესაბამისად ინფორმაციის მიღება კერძო პირისგან შესაძლებელია მხოლოდ ნებაყოფლობით.

კანონში არ არსებობს ბერკეტი, იძულების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მოხდება საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალის, საბუთის, ახსნა-განმარტებისა და სხვა ინფორმაციის მიღება და იგი მინდობილია მხოლოდ მხარეთა კეთილ ნებაზე. აღნიშნული მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის პრაქტიკაში, რამდენადაც საკმაოდ რთულდება და ზოგჯერ შეუძლებელიც კი არის საქმის გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევა, დისკრიმინაციის დადგენა და მასზე სათანადო რეაგირება.

მართებული იქნება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში“ ისეთი ჩანაწერის გაკეთება, რომლის შესაბამისადაც, თუ კერძო პირები ან საჯარო დაწესებულებები არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას და საქმეში არსებული მასალები ქმნიან დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ გონივრული ვარაუდის საფუძველს, მაშინ საჩივარში/განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვალოს.

ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებულად მიჩნევა ინფორმაციის მოუწოდებლობისას იქნება ქმედითი ინსტრუმენტი, რომ სახალხო დამცველმა მოახდინოს ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის სათანადოდ ამოქმედება და კერძო პირებს ინფორმაციის წარმოდგენის არაპირდაპირი ვალდებულება წარმოუშვას. ეს ინსტრუმენტი ერთგვარად სტიმულის მიმცემიც კი იქნება ყველა კერძო პირისა და საჯარო დაწესებულებისათვის, რომ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე მათი პოზიცია დააფიქსირონ და იკისრონ საპირისპიროს მტკიცების ტვირთი.

- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახალხო დამცველი „უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს“. ასევე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე

მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.“

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს გააჩნია რეალური ბერკეტი იმისათვის, რომ უზრუნველყოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ. იგივე სახის მექანიზმი არ არის გათვალისწინებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართაც. იმ შემთხვევაში თუ ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი დადასტურდება, სახალხო დამცველი შემოიფარგლება რეკომენდაციის ან ზოგადი წინადადების გამოცემით. ამის შემდეგ არ არსებობს არანაირი ბერკეტი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კერძო პირთა მხრიდან რეკომენდაციის შესრულების ზედამხედველობა ან/და უზრუნველყოფა.

შექმნილ ვითარებაში აუცილებელია აღნიშნული ვალდებულებების გარკვეული ფორმით გავრცელება კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებზეც, რადგანაც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის ¹ პუნქტით გათვალისწინებული ზედამხედველობის ფუნქცია, ფაქტობრივად დეკლარაციულ ხასიათს იძენს ხსენებულ პირთა წრის მიმართ და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას არაეფექტურს ხდის.

შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლს დაემატოს კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირების ვალდებულება დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საქმეებზე განიხილონ რეკომენდაცია და მათი განხილვის შედეგები აცნობონ სახალხო დამცველს.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ხანდაზმულობის სხვადასხვა ვადებს ამა თუ იმ დარღვევებთან მიმართებით, მაგალითად სახელშეკრულებო დავების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო დავების 6 წელი, დელიქტური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დავების 3 წელი, ხოლო ზოგადი ხანდაზმულობის ვადა 10 წელი.

იმ მიზნით, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლი იქნას აღდგენილი თავის უფლებებში და ჰქონდეს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363² მუხლმა გაითვალისწინა პირის უფლება მიმართოს სასამართლოს სარჩელით იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია 3 თვის განმავლობაში მას შემდეგ რაც ამ პირმა გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული გარემოების შესახებ.

უნდა აღინიშნოს რომ დადგენილი სამთვლიანი ვადა ძალიან მცირეა ხანდაზმულობის სხვა ვადებთან შედარებით და ამასთან არ არის საკმარისი სასამართლოში სარჩელის შესატანად და საქმის მასალების მოსამზადებლად. სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული ვადის სამი თვიდან ერთ წლამდე გაზრდა.

- იმ მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე, რომელიც სახალხო დამცველს აკისრია დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, აუცილებელია, სახალხო დამცველს მიეცეს შესაძლებლობა „სასამართლოს მეგობრის“ მექანიზმიც გამოიყენოს ამ კატეგორიის დავების განხილვის პროცესში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ამ ბერკეტის გამოყენების შესაძლებლობა მიეცეს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა და კომპეტენცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებზე ჯერჯერობით არ არსებობს მდიდარი სასამართლო პრაქტიკა საქართველოში, ამიტომ მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს „სასამართლო მეგობრის“ ინსტიტუტის გამოყენებამ შესაძლებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების უკეთესი შესაძლებლობა შექმნას. აღნიშნული დადებით გავლენას მოახდენს სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებაზე, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს დაეყრდნობა. ამასთანავე, იგი ხელს შეუწყობს საზოგადოების ჩართულობას, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ ნდობის ხარისხს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ იმ თავში, რომელიც აწესებს სპეციალურ სამართალწარმოებას დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, შევიდეს ცვლილებები/დამატებები, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე ან მესამე პირი ამავე დავაში, არგუმენტები/მოსაზრებები წარუდგინოს სასამართლოს.

2015 წლის 11 თებერვალს ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუმჯობესების მიზნით, სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა ანტიდისკრიმინაციულ კანონში, „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონში, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ და „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე. ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიულმა კომიტეტებმა მოიწონეს საკანონმდებლო წინადადება გარკვეული შენიშვნებით.

მნიშვნელოვანი იქნება, რომ ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, რომელიც არის წამყვანი კომიტეტი, სწრაფად დაიწყო ინიციატივის საკომიტეტო მოსმენები, ვინაიდან სწორედ საკანონმდებლო ცვლილებების დროულ მიღებაზე არის დამოკიდებული სამომავლოდ ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტური იმპლემენტაცია.

2. მატერიალური ხასიათის ხარვეზები

სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის საქმეების შესწავლის პროცესში გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების მიზნით, შესაძლოა, საჭიროებისამებრ, დროდადრო წარადგინოს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტები, რომლის მთავარი დანიშნულება კანონმდებლობის იმგვარი დახვეწაა, როცა მისი პრაქტიკული და ეფექტური იმპლემენტაცია იქნება გარანტირებული. ქვემოთ მოცემულია ორი საკითხი, რომელზედაც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა.

- ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ერთ-ერთ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ შევიწროვების ცნება არ არის ინტეგრირებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ევროკავშირის დირექტივების მიხედვით, შევიწროვება დისკრიმინაციის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს პირის ღირსების შელახვასა და დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.¹²

¹²დირექტივები: 2000/43/EC, რასობრივი თანასწორობის შესახებ, მუხლი 2(3); 2000/78/EC, დასაქმებისას თანასწორი მოპყრობის შესახებ, მ. 2(3); 2004/113/EC, საქონლისა და სერვისების ხელმისაწვდომობისას გენდერული თანასწორობის შესახებ, მ. 2(c); 2006/54/EC, გენდერული თანასწორობის შესახებ (recast), მ. 2(1)(c);

შევიწროვებას, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ სჭირდება შესადარებელი სუბიექტი, ამასთან, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს უფლების დარღვევას. იქედან გამომდინარე, რომ პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის მტკიცებისას კანონი გვავალდებულებს, რომ არსებობდეს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება და გვყავდეს კომპარატორი, ბუნებრივია შევიწროვების პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის კონტექსტში გაყვანა ზოგჯერ შეუძლებელი ხდება. ეს კი ართულებს მტკიცებას და ზოგიერთი შევიწროვების ფაქტი შეიძლება რეაგირების მიღმა დარჩეს.

საკითხის პრობლემურობიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, რომ შევიწროვება ხაზგასმული იყოს კანონმდებლობაში და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონმა დისკრიმინაციის ფორმად გამოყოს.

- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად დისკრიმინაციად არ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობა, „როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით¹³, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის **გამოსადეგ** და **აუცილებელ** საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის **პროპორციული**, მისი თანაზომიერი უნდა იყოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად არ ითვლება, თუ მას აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, რაც ნიშნავს, რომ განსხვავებულ მოპყრობას გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და გამოყენებული საშუალება დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციულია.

არც საქართველოს კონსტიტუცია და არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, დისკრიმინაციის ამკრძალავ მუხლებში, ლეგიტიმური მიზნის

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება #3/1/512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 65;

ჩამონათვალს არ ითვალისწინებს და მათი ლეგიტიმურობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალ-ცალკე ფასდება.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლო „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ პრინციპს იყენებს, როდესაც მსჯელობს კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევის დროს. აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ნიშნავს, რომ ჩარევა უნდა ისახავდეს ლეგიტიმურ მიზანს და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის პროპორციული იყოს.

ანტიდისკრიმინაციული კანონი კუმულაციურად ადგენს რამდენიმე პრინციპის ერთობლიობას, კერძოდ, უნდა არსებობდეს, საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრული მიზანი, ჰქონდეს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერი უნდა იყოს ასეთი მიზნის მისაღწევად.

სიტყვა-სიტყვით თუ განვმარტავთ ამ დებულებას, გამოდის, რომ კანონი ითვალისწინებს ერთადერთ ლეგიტიმურ მიზანს - საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დაცვას, ამასთან ეს მიზანი უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, ანუ მიზანს კანონი ამომწურავად ჩამოთვლის და ამით ის გამორიცხავს სხვა ლეგიტიმური მიზნების არსებობას განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად.

ამავე დროს, კანონი ერთდროულად იყენებს ობიექტურ და გონივრულ გამართლებას და დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობას, მაშინ როდესაც ორივე მათგანი გულისხმობს პროპორციულობას მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის და პირველი მათგანი გამოიყენება დისკრიმინაციის საკითხების განხილვის დროს, ხოლო მეორე, უფლებებში ჩარევის დროს.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესი იქნება, რომ მუხლის დისპოზიციაში დარჩეს მხოლოდ ობიექტური და გონივრული გამართლება.

თავი V. ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება

ანტიდისკრიმინაციული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ახორციელებს ღონისძიებებს დისკრიმინაციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

ამ მიზნით შემუშავდა ხშირად დასმული კითხვები, მომზადდა სარეკლამო რგოლი, ტრენინგები ჩატარდათ პოლიციელებს, პროკურორებს, ჟურნალისტებსა და მოსწავლეებს.

1. ხშირად დასმული კითხვები

სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა ხშირად დასმული კითხვები, რომლებიც ატვირთულია ვებგვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს. აღნიშნულ დოკუმენტში მარტივად არის ახსნილი დისკრიმინაციის ცნება, დისკრიმინაციის ნიშნები, სახალხო დამცველის უფლებამოსილება, ვის შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველს, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება/საჩივარი, სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღება და სხვა.

2. სარეკლამო რგოლი

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული სარეკლამო რგოლი გავრცელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, ტელეკომპანია მაესტროსა და სოციალური მედიის საშუალებით. სარეკლამო რგოლი დაინტერესებულ პირებს უხსნის თუ რა ნიშნით არის დისკრიმინაცია აკრძალული და როგორ მომართონ სახალხო დამცველს.

3. ტრენინგები პოლიციელებისა და პროკურორებისთვის

აღნიშნული ტრენინგების ძირითადი თემა იყო დისკრიმინაციის ცნება, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები დისკრიმინაციის აკრძალვის ჭრილში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ცნება, გამოძიების ტექნიკა და სხვა.

ტრენინგები ჩატარდა საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტების ფარგლებში.

ტრენინგების ჩასატარებლად სხვა ტრენერებთან ერთად, მიწვეული იყო სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი. სულ ჩატარდა 9 ტრენინგი თბილისსა და რეგიონებში.


4. ტრენინგები ჟურნალისტებისთვის

სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებით ტრენინგი ჩატარდა ჟურნალისტებს. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს როგორცაა: ევროპული კონვენციით დაცული უფლებები, დისკრიმინაციის ცნება, სახალხო დამცველის მიერ დისკრიმინაციის საქმეების განხილვის პრაქტიკა, დისკრიმინაცია სქესის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის გამო, დისკრიმინაციის აკრძალვა რელიგიის და შეკრების თავისუფლებით სარგებლობის დროს.

ტრენინგებზე, სახალხო დამცველის აპარატის გარდა, ტრენერებად მიწვეულები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

5. ტრენინგები სკოლის მოსწავლეთათვის

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა 2015 წლის 12 თებერვლიდან 15 მაისამდე ჩატარა ტრენინგები სკოლებში დისკრიმინაციის შესახებ მართლშეგნების დონის ამაღლების მიზნით. სულ ჩატარდა 37 ტრენინგი, თბილისისა და რეგიონების 31 სკოლაში, რომელსაც ესწრებოდა 763 მოსწავლე.



ჩატარებულმა ტრენინგებმა საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია სკოლებში. მათი ხანგრძლივობა იყო 2 საათი ან 2 საათნახევარი და



ძირითადად ჩაუტარდათ VIII, IX, X, XI კლასის მოსწავლეებს. თეორიული ნაწილის გარდა, ტრენინგი ითვალისწინებდა სხვადასხვა სახალისო სავარჯიშოებს, გონებრივ იერიშს (ბრეინსტორმინგს), როლურ გათამაშებებსა და კაზუსებს.



ტრენინგები ძირითადად ტარდებოდა საგაკვეთილო საათების განმავლობაში და ბავშვებს არ უწევდათ დამატებით სკოლაში დარჩენა, თუმცა, იყო შემთხვევა, როდესაც ტრენინგი გაკვეთილების დასრულების შემდეგ ჩატარდა და ბავშვები იმდენად იყვნენ დაინტერესებულები, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლების მისვლისთანავე, სახლიდან დაბრუნდნენ სკოლაში ტრენინგზე დასასწრებად. აგრეთვე, ხარაგაულის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ნოდარ ებანოიძის ინიციატივით შექმნილი სამოქალაქო განათლების ცენტრის პროექტის ფარგლებში,

2015 წლის 12 მაისს (დასვენების დღეს), ხარაგაულში, პარლამენტის წევრის ბიუროში, სამოქალაქო განათლების ცენტრისა და მიმდებარე სოფლების მოსწავლეთათვის ჩატარდა საგანმანათლებლო ტრენინგები.

ტრენინგები ფოკუსირებული იყო სკოლის მოსწავლეებზე, თუმცა მასწავლებლების



თხოვნით, ზოგიერთ სკოლაში ისინიც ესწრებოდნენ და ცალკეულ შემთხვევებში ერთვებოდნენ კიდევ დისკუსიაში. იყო შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები აშკარად ვერ იაზრებდნენ თუ რატომ არის პრობლემა, როცა ქალი მატერიალურად ქმარზეა

დამოკიდებული და რატომ წარმოადგენს საქართველოს ბანკის რეკლამა სახელწოდებით „ქმარკომარტი“ სექსისტური სტერეოტიპების ხელშემწყობს.

რეგიონის მასწავლებლებმა წუხილი გამოთქვეს, რომ საზოგადოება ყურადღებას არ აქცევს მათ, არ ხდება მასწავლებელთა გადამზადება, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო არ არის მაღალი დონის და სახალხო დამცველის წარმომადგენლებს სთხოვეს, მონაწილეობა მიეღოთ ახალი სახელმძღვანელოს შექმნაში და ასევე, მსგავსი ტრენინგები ჩაეტარებინათ მასწავლებლებისთვისაც.

რაც შეეხება, მოსწავლეთა დამოკიდებულებას, ისინი ყველაზე დიდ პრობლემას საზოგადოებაში ხედავენ. მოსწავლეთა ნაწილს მიაჩნია, რომ ბევრი ტრენინგის ჩატარება არის საჭირო უფროს თაობასთან და აცხადებენ, რომ „ისინი თუ არ შეიცვალნენ, მათნაირ შვილებს გაზრდიან და უმცირესობა სულ დაჩაგრული იქნება“, „მშობლები უმცირესობის მდგომარეობაში არ აყენებენ თავს და ვერ ხვდებიან უმცირესობები რას განიცდიან“.

ახალციხესა და ახალქალაქში, ისევე როგორც მარნეულში, ქართულ ენაზე კომუნიკაციის პრობლემა მწვავედ დგას. არაქართულენოვან სკოლებში ბავშვებმა ქართული კარგად არ იციან, უჭირთ საკუთარი აზრის ქართულ ენაზე გადმოცემა და ურჩევნიათ რუსულად ისაუბრონ. ქართული ენა არ ისწავლება სათანადო დონეზე, თუმცა ზოგიერთ მოსწავლეს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს თბილისში და ამიტომ სკოლაში სწავლის დაბალი დონის გამო, იძულებული გახდა ქართული ენა კერძო პედაგოგთან ესწავლა, რაც ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ახალქალაქის და ახალციხის რამდენიმე სკოლაში, სადაც რელიგიური/ეთნიკური უმცირესობები სწავლობენ, მოსწავლეები არ იზიარებდნენ იმ აზრს, რომ მოხდეს ქალების აქტიური ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალის როლს ისინი მხოლოდ ოჯახური ვალდებულებების შესრულებაში ხედავენ. საპირისპირო პოზიცია იკვეთება გოგონების მხრიდან, რომელთაც არ სურთ ადრეულ ასაკში გათხოვება და ყველას უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება. მათ აღიზიანებთ თანაკლასელი ბიჭებისა და ოჯახის შეხედულებები ქალის როლზე საზოგადოებაში. აღნიშნული ტენდენცია, განსხვავებით ზემოხსენებული ქალაქებიდან, ნაკლებად შეიმჩნეოდა მარნეულში. იქ უფრო მეტად იყვნენ გახსნილები და რიგი საკითხებისადმი უფრო ტოლერანტული მიდგომა ჩანდა.

ლგბტ თემის საკითხი ყველაზე სენსიტიური აღმოჩნდა ტრენინგების მსვლელობისას. განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებით ბავშვებს შორის აზრები იყოფა. ბავშვები ძირითადად იმეორებენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს და არ ფლობენ ამ საკითხის შესახებ ობიექტურ და სრულყოფილ ინფორმაციას.

სახალხო დამცველის ოფისი კვლავ აგრძელებს თბილისსა და რეგიონებში ბავშვებისთვის ტრენინგების ჩატარებას.

თავი VI. თანასწორობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგებსა და სასწავლო ვიზიტებში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

1. ადგილობრივ დონეზე ჩატარებული ტრენინგები

2015 წლის 27-28 აპრილს ადამიანის უფლებათა სახლის საკონფერენციო დარბაზში თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები ესწრებოდნენ ტრენინგს „გენდერული თანასწორობა და მისი დაცვის მექანიზმები“, რომელიც ორგანიზებული იყო „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ. ტრენინგს უძღვებოდა მერილენდის ამერიკელი პროფესორი მარლი ს. ვაისი.



2015 წლის 28-30 აპრილს, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სტუმრად იმყოფებოდა თანასწორობის საკითხების საერთაშორისო ექსპერტი შილა ვან დერ ბასი, რომელმაც ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლებთან

ჰოლანდიის თანასწორობის ორგანოს საქმიანობაზე, კომპეტენციებზე, გადაწყვეტილებების მიღების და აღსრულების წესზე, დისკრიმინაციის საქმეების მოკვლევისა და მტკიცებულებათა მოპოვების თავისებურებებზე ისაუბრა. ვიზიტი ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) დახმარებით შედგა.

2015 წლის 22-23 ივნისს
ევროკომისიის ტექნიკური
დახმარებისა და გაცვლის
ინსტრუმენტის (TAIEX)
დახმარებით საქართველოს
სახალხო დამცველის აპარატმა
გამართა სამუშაო შეხვედრა
საქართველოში
ანტიდისკრიმინაციული
კანონმდებლობის ეფექტური
იმპლემენტაციის შესახებ. სამუშაო



შეხვედრის მიზანს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის
კანონმდებლობის შესწავლა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების
ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის საუკეთესო პრაქტიკის
გაზიარება წარმოადგენდა. სამუშაო შეხვედრას უძღვებოდნენ საერთაშორისო
ექსპერტები: ნიდერლანდების ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის წარმომადგენელი
შილა ვან დერ ბასი, საბერძნეთის ომბუდსმენის ინსტიტუტის უფროსი
გამომძიებელი მარია კარაგეორგუ და ტურინის უნივერსიტეტის უფროსი
სპეციალისტი ივანა როანა. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ სახალხო დამცველის
აპარატის თანამშრომლები, სასამართლო ხელისუფლებისა და არასამთავრობო
ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2. საერთაშორისო დონეზე განხორციელებული სასწავლო ვიზიტები

2015 წლის თებერვალში, საქართველოსთვის ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესის
მხარდაჭერის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის
დეპარტამენტის წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტის და არასამთავრობო
ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად რუმინეთში იმყოფებოდნენ.

რუმინეთის პარლამენტის ევროპულ საქმეთა კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე
რუმინეთის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე განვლილ სირთულეებსა და
გამოწვევებზე, უმცირესობათა უფლებების დაცვასა და ანტიდისკრიმინაციული
მექანიზმის გაძლიერების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

შეხვედრა ასევე ჩატარდა რუმინეთში არსებულ არასამთავრობო სექტორთან, სადაც ჯგუფი გაეცნო რუმინეთში ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღების ისტორიასა და საზოგადოების დამოკიდებულებას ანტიდისკრიმინაციული მექანიზმისადმი. განიხილეს საზოგადოებაში უმცირესობებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა და ანტიჰომოფობიური განწყობის ხელშეწყობის ფაქტორები. გარდა ამისა, საუბარი შეეხო ლგბტ პირთა უფლებებსა და მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

რუმინეთის ომბუდსმენის ოფისსა და რუმინულ ანტიდისკრიმინაციულ საბჭოში მათი ფუნქციები, მიზნები, ამოცანები და მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპეტენციების განსაზღვრის საკითხები განიხილეს. გარდა ამისა, ჯგუფი გაეცნო რუმინულ და ევროპულ საუკეთესო პრაქტიკას, მოხდა გამოცდილების გაზიარება და სამომავლო საქმიანობის უკეთ წარსამართავად რჩევების მოცემა.

2015 წლის აპრილში
თანასწორობის დეპარტამენტის
წარმომადგენლები
იმყოფებოდნენ ქალაქ
ვარშავაში, პოლონეთში.

შეხვედრები გაიმართა
პოლონეთის რესპუბლიკის
სახალხო დამცველის ოფისში,



ომბუდსმენის მოადგილესა და თანასწორობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებთან, პოლონეთის პრემიერ მინისტრთან არსებული თანაბარი მოპყრობის სრულუფლებიანი ორგანოს ხელმძღვანელთან მალგორჟატა ფუზარასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძოდ, ჰელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდთან და ანტიდისკრიმინაციული სამართლის პოლონეთის საზოგადოების წარმომადგენლებთან.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა პოლონელ კოლეგებს მიაწოდეს ინფორმაცია თანასწორობის დეპარტამენტის უფლებამოსილებასა და საქმიანობაზე. შეხვედრები მიმდინარეობდა დიალოგისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლები გაეცნენ დისკრიმინაციის კუთხით პოლონეთში არსებულ პრობლემებსა და გადაჭრის გზებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია დისკრიმინაციის საქმეების განხილვაში მათი ჩართულობის შესახებ და გაუზიარეს საინტერესო საქმეები, რომლებზეც ისინი მუშაობდნენ. ხოლო, პოლონეთის პრემიერ მინისტრთან არსებული თანაბარი მოპყრობის სრულუფლებიანი ორგანოს ხელმძღვანელთან შეხვედრის ძირითად საკითხს წარმოადგენდა სახელმწიფოს პოლიტიკა დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით.

თავი VII. დასკვნა

2015 წლის თებერვალში, დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით საქმიანობის შესაფასებლად, საქართველოს სახალხო დამცველს ევროკომისიის ხელმძღვანელობით შემფასებელი მისია ეწვია. მისიების შემადგენლობაში შედიოდნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ექსპერტები. მათ დეტალურად წარედგინათ ინფორმაცია თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

შემფასებელმა მისიამ სახალხო დამცველის საქმიანობა ამ სფეროში დამაკმაყოფილებლად მიიჩნია და საქართველოს ხელისუფლებას მისცა რეკომენდაცია გააქტიუროს საქმიანობა ცნობიერების ამაღლების კუთხით.

სახალხო დამცველი 2015-2016 წლებში გეგმავს ჩაატაროს სულ მცირე 60-მდე ტრენინგი მოსწავლეებისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით; 10 ტრენინგი მასწავლებლებისათვის; 10 ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლებისათვის. ასევე გეგმავს შეიმუშავოს ცნობიერების ასამაღლებელი ბროშურები და სასწავლო ხასიათის ვიდეოები.

გარდა ამისა, იგეგმება სახალხო დამცველის ინიციატივით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენისა და შესწავლის გაძლიერება და კვლევების ჩატარება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

ცნობიერების ამაღლების კუთხით, რეკომენდებული იქნება, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ჩატარდეს ტრენინგები დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე.

ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს პარლამენტმა დააჩქაროს სახალხო დამცველის მიერ მომზადებული და წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების მიღება.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას აუცილებლობას, რომ საჯარო/კერძო დაწესებულებებმა თავიანთი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები შეუსაბამონ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონს და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას.